19

ანთროპოლოგია და გლობალიზაციის პარადოქსები

თითოეულმა კულტურამ თავისი კრეატიული პოტენციალი უნდა გამოათავისუფლოს იზოლაციასა და სხვებთან ურთიერთობას შორის კორექტული ზომიერების პოვნით.

კლოდ ლევი-სტროსი (Claude Lévi-Strauss)

მიზეზი იმისა, რომ ანთროპოლოგები გლობალიზაციას ხშირად უდგებიან ფორმულით – 'გლობალური და ლოკალური' – იმაში მდგომარეობს, რომ 'ლოკალური' ხშირად საკმაოდ მოქნილია (მაშინაც კი, როდესაც იცვლება) და, შესაბამისად, მის წარსულ ფორმებზე ჩაჭიდება ძალიან ღირებულია აწმყოს გაგებისთვის.

ულფ ჰანერცი (Ulf Hannerz)

ჩრდილოეთ აფრიკაში ყვებიან ანეკდოტს მომთაბარე მეაქლემეებზე, რომელთა ყოველწლიური მიგრაცია ოდითგანვე მარტის თვეში ხდებოდა. უკანასკნელ წლებში მიგრაციამ რამდენიმე თვით დაიგვიანა. მიზეზი ისაა, რომ მათ სერიალ *დალასის* ბოლო ეპიზოდების გამოტოვება არ უნდოდათ.

ამ შემთხვევაში, ამ ამბის ჭეშმარიტებას მნიშვნელობა არ აქვს. ამით იმის თქმა შეიძლება, რომ დღევანდელი მსოფლიო უკვე ის მსოფლიო აღარ არის, რომელიც ოდესღაც იყო, ან შეიძლება, ისეთი აღარ არის, როგორადაც იგი ანთროპოლოგებს და ბევრ სხვას ჰქონდა წარმოდგენილი. მარტივია იმ მტკიცებულების პოვნა, რომ უძველეს დროშიც მსოფლიოში სერიოზული ცვლილებები მიმდინარეობდა, რომ საზოგადოებებს შორის არსებობდა ფართო და რეგულარული კომუნიკაცია და კონტაქტი, რომ ჭეშმარიტად კოსმოპოლიტური ქალაქები, როგორიც კონსტანტინოპოლი და ტიმბუქტუ იყო, უკვე შუა საუკუნეებში არსებობდნენ. ბრიტანული სოციალური ანთროპოლოგიის პირველი კლასიკოსის – მალინოვსკის *Argonauts of the Western Pacific* ('დასავლეთ წყნარი ოკეანის არგონავტების') შესავალი შემდეგნაირია:

ეთნოლოგია, სამწუხაროდ, სასაცილო (ტრაგიკულში თუ არა) მდგომარეობაშია, რადგანაც, სწორედ იმ მომენტში, როცა დაკისრებული დავალების შესრულების სამზადისში წესრიგში მოჰყავს თავისი სახელოსნო, რათა საჭირო ხელსაწყოები შექმნას, საკვლევი მასალა ელვისებური სისწრაფით, უიმედოდ უჩინარდება. სწორედ ახლა, როცა ეთნოლოგიის სამეცნიერო სფეროს მეთოდებმა და მიზნებმა გარკვეული სახე შეიძინა, როცა სამუშაოს შესრულებისთვის სპეციალურად გაწვრთნილმა ადამიანებმა ველურ ქვეყნებში იმოგზა-

ურეს და იქაური ადგილობრივი მოსახლეობის შესწავლა დაიწყეს – იგი ჩვენს თვალწინ ქრება (1984 [1922], გვ. xv).

მალინოვსკის წუხილი იმ ფენომენს ეხება, რომელიც დღეისთვის ხასიათდება, როგორც იმპერიალიზმი ან კულტურული იმპერიალიზმი, ზოგჯერ კი, როგორც კულტურის გლობალიზაცია; სხვაგვარად – გარკვეული კულტურული ფორმებისა და სოციალური ინსტიტუტების მსოფლიო მასშტაბით გავრცელება ხდება – კოლონიალიზმის, ვაჭრობის, მისიონერული აქტივობის, ტექნოლოგიური ცვლილების, მობილობის, ტომებისა და ხალხების სახელმწიფოებში ფართომასშტაბიან გაცვლით სისტემებში გაერთიანების გამო. როდესაც პირველი ამერიკელი ანთროპოლოგები 1930-იან წლებში ბალიდან ბრუნდებოდნენ, ისინი წუხილით ყვებოდნენ იმის შესახებ, თუ როგორ ახლოვდებოდა ბალის კულტურის განადგურების დღე მასობრივი ტურიზმის ზემოქმედებით (რომელიც თითქოს ოცდამეერთე საუკუნეში ჯერ არ დამდგარა; იხ. Wikan, 1992; Howe, 2005); მსგავსი მკაცრი პროგნოზი გაკეთდა ბევრ ხალხთან დაკავშირებით, რომლებიც ანთროპოლოგიურად იყვნენ შესწავლილი. ჯერ კიდევ თანამედროვე შედარებითი ანთროპოლოგიის უსუსური საწყისების პერიოდიდან, პრაქტიკოსები კულტურული ნაირსახეობების გაქრობის საშიშროების გამო ღელავდნენ, რაც ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს. 1960-იან და 1970-იან წლებში ბევრი მეცნიერი 'გადაუდებელი ანთროპოლოგიის' ('urgent anthropology') შესახებ ალაპარაკდა, რომლის ფარგლებშიც იმ კულტურისა და სოციალური ორგანიზაციის წარმომადგენლების ჩაწერა უნდა მომხდარიყო, რომლებიც ჯერ კიდევ ტრადიციული წესებით ცხოვრობდნენ და სრულიად არ იყვნენ გამქრალნი დედამიწიდან. არსებული 'დარდები' უკანასკნელ წლებში გარკვეულწილად ახლით ჩანაცვლდა და ანთროპოლოგები ახლა უკვე სხვადასხვა კუთხით იკვლევენ საზოგადოებებს შორის გაზრდილი კონტაქტების პირობებში წარმოქმნილ ახალ სირთულეებს.

ახლა სად არიან ისინი?

რა მოუვიდა იმ ხალხს, რომელიც ანთროპოლოგებმა პირველად კოლონიზაციის პერიოდში შეისწავლეს? თითქმის ყველა მათგანი, სხვადასხვა დონეზე, ინტეგრირებულია უფრო დიდ და, საბოლოო ჯამში, გლობალურ ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ სისტემებში. ზოგიერთი მათგანისთვის, მაგალითად, პაპუა ახალი გვინეის ცემბაგა მარინგისთვის, ეს ინტეგრაცია ჯერ კიდევ შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანია ყოველდღიურ ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ დაქირავებულმა სამუშაომ და მონეტარულმა ეკონომიკამ მათ საზოგადოებაშიც დაისადგურა, პირველად საარსებო წყაროს მათთვის ახლაც მეღორეობა და მებაღეობა წარმოადგენს. ძალადობაზე სულ უფრო ეფექტიანი სახელმწიფო მონოპოლიის გამო მაღალმთიანეთში ომში წასვლა რთული გახდა. თუმცა მისიონერული საქმიანობა, სამთო საქმე, პლანტაციები და სამუშაო ძალების მიგრაცია ათწლეულები ახდენდა ზეგავლენას ახალი გვინეის მაღალმთიანეთის მოსახლეობაზე – ზოგჯერ ეს გარემოს განადგურებასაც კი იწვევდა, როგორც უდიდესი Ok Tedi-ს სპილენძისა და ოქროს მაღაროს შემთხვევაში მოხდა (Kirsch, 2006), რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ისეთი ორგანიზაციები, რომლებსაც ადგილობრივი კულტურული ფორმების დაცვა და გავრცელება ჰქონდათ გამიზნული.

ბევრი სხვა ხალხისათვის, რომელთა შესახებ ამ წიგნის წინა თავებშია მოთხრობილი, ცვლილებები კიდევ უფრო რადიკალური აღმოჩნდა. ცენტრალურაფრიკელ აზანდეებს შორის პროლეტარიზაცია ფართოდ იყო გავრცელებული – ბევრმა იპოვა დაქირავებული სამუშაო ბამბისა და მინის თხილის პლანტაციებზე, თუმცა ძირითადი სოციალური ინსტიტუტები, მათ შორის, გრძნეულობა, ჯერ კიდევ ფუნქციონირებს. იანომამები ბრაზილიასა და ვენესუელაში მათი სურვილის გარეშე ჩაითრიეს გლობალურ ეკონომიკაში. აღსანიშნავია, რომ ოქრო მათ ტერიტორიაზე აღმოაჩინეს და, ამავდროულად, მათ ახლა უკვე ჰყავთ პროფესიონალი წარმომადგენლები, რომლებიც მსოფლიოს ირგვლივ მოგზაურობენ და საკუთარი, ანუ ადგილობრივი მოსახლეობის, ინტერესებს უნყობენ ხელს. იანომამების უმეტესობისათვის არსებობის ძირითად წყაროს ჯერ კიდევ მებაღეობა წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ფულადი სექტორი სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. იანომამების ბოლოდროინდელი ისტორიის უფრო ტრაგიკულ მომენტს წითელას დაავადების გავრცელება წარმოადგენდა, რომელიც შედარებით უსაფრთხოა ევროპელებისთვის, მაგრამ სასიკვდილოა იზოლირებული, ოდესღაც დახურული ჯგუფებისთვის. რაც შეეხება მუნდურუკუს ხალხს ბრაზილიის შორეულ სამხრეთში, ჯერ კიდევ 1950-იან წლებში, ისინიც კაპიტალისტურ ეკონომიკურ სისტემაში ჩაითრიეს. ზოგიერთი სოფელი კაუჩუკის პლანტაციებზე დაქირავებულ სამუშაოზე იყო დამოკიდებული, რის გამოც ამ გარემოში მათი დასახლების მოდელი შეიცვალა: კაცების სახლი წარსულს ჩაბარდა და კაცები თავიანთ ცოლშვილებთან ერთად ბირთვულ ოჯახებად ცხოვრობდნენ. ზოგადად, როგორც მერფი გადმოგვცემს (Murphy, 1985), ქალებს უხაროდათ ეს ცვლილებები, რაც იმას ნიშნავდა, რომ კაცებს უფრო მეტი წვლილი შეჰქონდათ ოჯახის საქმეში, მაშინ, როცა კაცები ნოსტალგიურად იგონებდნენ იმ მითურ წარსულს, როცა ომებში გმირულად იბრძოდნენ და ნადირობა წარმატებული იყო.

მალიში, ფრანგული კოლონიზაციის პერიოდიდან, დოგონებს შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცვლილებას მშვიდობის ფაქტი წარმოადგენდა. მათ ძველი მტრისგან – ფულანების თავდასხმებისგან თავი დაიცვეს და, შესაბამისად, საკუთარი ტერიტორიის გაფართოების შესაძლებლობა მიეცათ. თუმცა, ფურეების, ფულანების, ჰაუსას და ბევრი სხვა ხალხის მსგავსად, დოგონებმა საჰელის რეგიონში პერიოდული გვალვების და მოსახლეობის ზრდის გავლენა იწვნიეს. დღესდღეობით, დოგონები ბევრი მიმართულებით ინტეგრირებულნი არიან მალის სახელმწიფოში, მაგალითად, ბავშვები დადიან სკოლაში, იკეთებენ აცრებს და სწავლობენ ფრანგულს, როგორც უცხო ენას. მონეტარული ეკონომიკა აქტიურად ამოქმედდა და გარკვეული სამრეწველო პროდუქტები, როგორიცაა ფაბრიკული წარმოების ტანსაცმელი, ტრანზისტორული რადიომიმღებები და ველოსიპედები, ფართოდ გავრცელდა. ისევე, როგორც ბევრი სხვა აფრიკელი ხალხის შემთხვევაში, ისლამი დოგონებშიც წარმოადგენდა მნიშვნელოვანი კულტურული ცვლილების ფაქტორს. ამ თვალსაზრისით, ფულანებთან დამყარებული მშვიდობიანი ურთიერთობა, რომლებიც მუსლიმები და აქტიური მისიონერები არიან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება ნუერებსა და ფურებს, გამანადგურებელი გვალვების გარდა, მათ უდიდეს პრობლემას უქმნიდა სუდანში მიმდინარე ხანგრძლივი სამოქალაქო ომი (1983-2005 წწ.), რომელმაც საზოგადოებაში ეკონომიკური და ადამიანური რესურსების განადგურების გარდა, ვაჭრობის საქმეც გაართულა. ბევრი

ი სამხრეთ სუდანის მხარეში 'ისლამური ჩრდილოეთის' წინააღმდეგ ომში
ოდა და დაიღუპა. სეგმენტური შეპირისპირების ევანს-პრიტჩარდის მო-
ს შესაბამისად, პერიოდულად ისინი ინტეგრირდებოდნენ სეგმენტაციის
ო მაღალ დონეზე და გვერდიგვერდ იბრძოდნენ გაცილებით უფრო მრა-
იცხოვან დინკებთან ერთად. სეგმენტარული ლოგიკის შესაბამისად, მათი
ალკევება მალე მოხდა – 2010 წელს, სამხრეთ სუდანის მიერ დამოუკი-
ობის მოპოვების შემდეგ. დარფურში, ისევე როგორც სუდანის სხვა ბევრ
ლობრივ თემში, პოლიტიკურად არასტაბილური ეთიოპიიდან წამოსულმა
ლვილთა დიდმა რაოდენობამ, განსაკუთრებით 1980-იან წლებში, დიდი და-
ლობა გამოიწვია ადგილზე შემცირებული რესურსის გამო. დარფური, ასე-
რეგიონს წარმოადგენს, სადაც 2005 წელს ომი და მღელვარება მშვიდობის
ნხმების ხელმოწერით არ დასრულებულა. არაბულენოვანი შეიარაღებული
ჯუფებები, რომლებიც ჯანჯავიდების (Janjawid) სახელით არიან ცნობილნი
ომრებს მომთაბარე ბაგარების რიგებიდან ინვევენ, ტრადიციულად, კონ-
ნციაში იყვნენ მკვიდრ ფურებთან მიწისა და წყლის გამო, თავს ესხმოდ-
ოფლებსა და მასობრივად ხოცავდნენ მოქალაქეებს დარფურის რეგიონ-
90-იანი წლების ბოლოდან; ამან 200.000-ზე მეტი ფურის გადაადგილება
ინვია. ეს ტრაგედია სამხრეთ სუდანის ომისგან დამოუკიდებელი მოვლენა
რომელიც 2010 წელს დასრულდა.

ოგორც წინა თავში ვახსენეთ, ტრობრიანდის კუნძულების მკვიდრნი,
ესწილად, თავიანთი საკუთარი პირობებით მოდერნიზაციის პროცესებ-
რიან ადაპტირებულნი (Malnic and Kasaipwalova, 1998). მოდერნიზაციამ
ლებები გამოიწვია პოლიტიკურ ორგანიზაციაში, ეკონომიკასა და იდენ-
ს პოლიტიკაში, მაგრამ როგორც ნათესაობის, ასევე ცერემონიული ურ-
თგაცვლის სისტემა ჯერ კიდევ ფუნქციონირებს, მიუხედავად იმისა, რომ
ღარ აქვთ წინანდელი მნიშვნელობა.

რთგვარი დიაქრონული პერსპექტივა, რაც ნაგულისხმევია ამ ცვლილების
ეულ მომენტებში, უზრუნველყოფს ადგილობრივი ცხოვრების ანთროპო-
ური კვლევების საწყისი წერტილის განსაზღვრას, რომელიც იცვლება და
ეშირებულია უზარმაზარი მასშტაბის სისტემებთან. აქედან გამომდინარე,
ოპოლოგიის ძირითადი ამოცანა უკვე უცხოური ცხოვრების სტილის შეს-
ა და აღწერა კი აღარ იქნება, არამედ უფრო იმ ისტორიული პროცესების
ალისწინება, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სხვადასხვა წერტილში და გლო-
რი სისტემის სხვადასხვა დონეზე. თუ ეს შესაძლებელია, საჭიროა მათი
ეშირება გლობალური და ადგილობრივი ისტორიის ან საზოგადოების ბუ-
თეორიებთან.

ბალური კულტურა?

ორც მალინოვსკის ციტატიდან ჩანს, მეოცე საუკუნის ეთნოგრაფიის საწყი-
დანვე, ანთროპოლოგებისთვის ცნობილი იყო ის ტენდენციები, რომელსაც
ძლია კულტურული ენტროპია ვუწოდოთ – ისტორიული პროცესები, რომ-
აც ზოგჯერ 'კულტურულ გლობალიზაციას', 'კრეოლიზაციას', 'ჰიბრიდი-
ას', ან კიდევ, არაზუსტად, 'ვესტერნიზაციას' უწოდებენ. შეიძლება დაინ-

ტერესდეს ადამიანი, ვიმყოფებით თუ არა ამჟამად კაცობრიობის ისტორიის ახალი ერის – გლობალური ინფორმაციული საზოგადოების ერის – ზღურბლზე. წინა სამ თავში უშუალოდ იმ ფენომენზე იყო საუბარი, რომელიც თანამედროვე კონტექსტებს განეკუთვნება. გარკვეულ დონეზე, მაგალითად, ნაციონალიზმისა და უმცირესობის შემთხვევაში, ეს თემები მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილში რელევანტური მხოლოდ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში იყო. წინამდებარე დასკვნით გვერდებზე ჩვენ ვიკვლევთ, თუ რა გაგებით შეიძლება (გონივრულად) ჩაითვალოს ჩვენი დრო 'გლობალურ საუკუნედ' და, რაც ყველაზე მთავარია, გვინდა ჩავწვდეთ გლობალურისა და ლოკალურის ურთიერთმიმართებას. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ამჟამად მოდური ტერმინის – 'გლობალიზაციის' გააზრება, რამდენადაც იგი იმას კი არ ნიშნავს, რომ ყველანი იდენტურები ვხდებით, არამედ უფრო იმას გულისხმობს, რომ საკუთარ განსხვავებებს ახლებურად გამოვხატავთ.

თუკი სიტყვაში – 'თანამედროვეობა' ვინმე იმას გულისხმობს, რასაც კაპიტალიზმი, თანამედროვე სახელმწიფო და ინდივიდუალიზმი ნიშნავს ადამიანის არსებობისათვის, თანამედროვეობა ჰეგემონური იყო მსოფლიოში პირველი მსოფლიო ომის პერიოდიდან; სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი იყო გაბატონებული. თუმცა თანამედროვეობის გავრცელების პროცესი მეორე მსოფლიო ომის პერიოდიდან დაჩქარდა. უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ხალხის, საქონლის, იდეებისა და სიმბოლოების დინება გლობალურ დონეზე გაძლიერებულია. რეაქტიული თვითმფრინავის გამოჩენის შემდეგ და მას შემდეგ, რაც სატელიტური ტელევიზია მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში გავრცელდა, უფრო მეტიც, 1990-იანი წლების დასაწყისიდან, ინტერნეტის ფენომენის წარმოჩენის შემდეგ, დროსა და სივრცეში წარმოდგენილი კულტურული დინების შეზღუდვები მნიშვნელოვნად შემცირდა. გეოგრაფი დევიდ ჰარვის (David Harvey, 1989) სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ დროისა და სივრცის შთამბეჭდავი შევიწროების მოწმენი გავხდით.

თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს ორმხრივი წვლილი შეაქვს სივრციდან გარკვეული კულტურული ფენომენის ამოძირკვაში. პირველი, მრავალი ფენომენი, მათ შორის, 'ახალგაზრდული კულტურა', პრესტიჟული საქონელი Coca-Cola-ს ქილიდან დაწყებული და სმარტფონით და ჯინსებით დამთავრებული, ამერიკული სატელევიზიო სერიალები და ტრანსნაციონალური პოლიტიკური პრობლემები, როგორიცაა გლობალური დათბობა – ერთდროულად როგორც გლობალურად (ყველგან), ისე ლოკალურად (გარკვეულ ადგილებში) არის წარმოდგენილი. მეორე, რეაქტიული თვითმფრინავით სულ უფრო მეტი ადამიანისთვის გახდა შესაძლებელი მსოფლიოს მასშტაბით სწრაფი და კომფორტული გადაადგილება, მაშინ, როცა მობილური ტელეფონები და იაფფასიანი ზარები, ინტერნეტ და ვიდეოტელეფონია, პრინციპში, მსოფლიოს მასშტაბით, დროისა და ადგილის განუსაზღვრელად, ნებისმიერ ადამიანთან დაკავშირების საშუალებას იძლევა. სივრცე უკვე აღარ წარმოადგენს შემაფერხებელ გარემოებას კულტურულ სამყაროებს შორის.

ანთროპოლოგიისათვის, რომელიც ოდითგანვე ადგილობრივი საზოგადოებების ან მეტ-ნაკლებად მკაფიოდ გამიჯნული სოციოკულტურული სისტემების კვლევაზე კონცენტრირდებოდა, ეს ცვლილებები ითვალისწინებს რაღაც ახალს და რთულ გამოწვევებს როგორც თეორიის, ისე მეთოდოლოგიის დონეზე.

თანამედროვეობა და გლობალიზაცია

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებები ერთმანეთისგან თავისებურად განსხვავდებიან, თანამედროვეობას ყველგან აქვს გარკვეული საერთო განზომილებები. ეს მსგავსებები თუ პარალელები შესამჩნევია როგორც ინსტიტუციების, ასევე კულტურული გამოხატულების დონეზე.

დღეისათვის სახელმწიფო და მოქალაქეობა სოციალური ორგანიზაციის თითქმის უნივერსალურ პრინციპს წარმოადგენს, თუმცა ისინი მრავალი ვარიანტის სახით არიან წარმოდგენილი. მათი მნიშვნელობა არ უნდა გავაზვიადოთ – ჯერ კიდევ შესაძლებელია მსოფლიოს რომელიღაც კუთხეში სახელმწიფოსთან რეგულარული კავშირის გარეშე ცხოვრება. აღნიშნულთან დაკავშირებით, ჯეიმს სკოტი (James Scott, 2009) სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ეგრეთ წოდებული ზომიის მაღალმთიანეთს აღწერს, სადაც ხალხი საუკუნეების განმავლობაში წარმატებულ ცხოვრებას სახელმწიფოსგან განცალკევებულად ახერხებდა. თუმცა ამის განხორციელება ყველგან სულ უფრო რთულდება. ძალიან ცოტას თუ შეუძლია თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოს ზემოქმედებისგან თავის დაღწევა. სახელმწიფოს ძალაუფლება თავისი მოქალაქეების მიმართ ვლინდება ორმაგ მონოპოლიაში – გადასახადებზე და ლეგიტიმურ ძალადობაზე. თუკი სახელმწიფოს გარდა სხვა აგენტები კრეფენ გადასახადებს ან ძალადობრივ ქმედებებს ახორციელებენ, თეორიულად, ისინი დამნაშავეები არიან. თუმცა პრაქტიკაში, ბევრი ქვეყანა მხოლოდ ნაწილობრივად არის ინტეგრირებული სახელმწიფო დონეზე. აჯანყებული ჯგუფები, როგორიცაა ბოკო ჰარამი (Boko Haram) ჩრდილოეთ ნიგერიაში, კოლუმბიის სოფლის მოსახლეობის კერძო საბძოლო დაჯგუფებები, ზოგადად შესუსტებული სახელმწიფო ძალაუფლება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ლიბია და სომალი, აჩვენებს, რომ ტერიტორია გაცილებით უსწორმასწოროა, ვიდრე ეს რუკაზე შეიძლება მოჩანდეს.

დაქირავებული მუშახელი და კაპიტალიზმი, ასევე, გლობალიზებული თანამედროვეობის მნიშვნელოვანი განზომილებებია. კაპიტალი სულ უფრო იძირკვება ტერიტორიიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანიებს და კაპიტალისტებს მსოფლიოს ნებისმიერ ადგილზე შეუძლიათ ინვესტიციების განხორციელება. თუკი კომპიუტერის ჩიპების წარმოება მალაიზიაში უფრო იაფი ჯდება, ვიდრე შოტლანდიაში, მიკროჩიპების მწარმოებელს მარტივად შეუძლია ქარხნის მალაიზიაში გადატანა. მსგავსი ნაბიჯები ცხადყოფს, რომ მსოფლიოს მასშტაბით ხელმისაწვდომია სამუშაო ძალა, რომელიც მზადაა შრომითი კონტრაქტის მხარედ იქცეს. მაგრამ, ისევე როგორც სახელმწიფოს შემთხვევაში, არაფორმალური და არასაიმედო სამუშაო, რომელიც გლობალურ სამხრეთში განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული, ნაკლებად ამართლებს მოლოდინებს.

თანამედროვეობის წიაღში მოხმარება ძირითადად გაშუალებულია ფულით. მარტივად, ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხი საჭირო საქონელს ბაზარში ყიდულობს, სადაც უნივერსალური ფული წარმოადგენს ანგარიშწორების დომინანტურ საშუალებას. საარსებო პროდუქციის წარმოება და ბარტერი კარგავს მნიშვნელობას.

აქედან გამომდინარე, პოლიტიკაც და ეკონომიკაც ინტეგრირებულია ინვესტიციების, გადაცვლისა და მიგრაციის აბსტრაქტულ, ანონიმურ და გლობალუ-

რად დაკავშირებულ ქსელში. არც ერთ ადამიანს არ შეუძლია ამ სისტემაზე არსობრივი ზემოქმედების მოხდენა და მოვლენები, რომლებიც მიმდინარეობს ამ სისტემის ერთ ნერტილში, შედეგებს (ხშირად გაუთვალისწინებელს) ამ სისტემის სხვა ნაწილებში ავლენს. თუკი ტაივანური პერსონალური კომპიუტერების ექსპორტის მოცულობა ერთ რომელიმე წელს იზრდება, იმავე წელს კალიფორნიის საშუალო კლასის ტერიტორიაზე არსებული მოდური მაღაზია შეიძლება გაკოტრდეს. მიზეზი მარტივია – ამ მაღაზიის ყოფილმა მომხმარებლებმა უბრალოდ დაკარგეს თავიანთი სამუშაო ადგილები სილიციუმის ველის (the Silicon valley) კომპიუტერულ ინდუსტრიაში. ამ პროცესების დამაკმაყოფილებლად დახასიათება შეუძლებელია უბრალო მიზეზშედეგობრივი ან წინასწარგანზრახული აღწერებით. მათ სისტემის აბსტრაქტულ დონეზე აქვთ ადგილი, რაც შეიძლება იმას ჰგავდეს, რასაც ზოგჯერ 'პეპლის ეფექტს' უწოდებენ: პეპელა თავის ფრთებს რიო-დე-ჟანეიროში აფრიალებს და მცირე ქარს იწვევს, ამავდროულად, მოქმედებაში მოჰყავს ზრდადი მაგნიტუდის მოვლენების ჯაჭვი, რასაც, საბოლოო ჯამში, ნიუ-იორკში შტორმი მოჰყვება.

გლობალურ დონეზე ზრდადი სისტემური ინტეგრაციის ერთი შედეგია ის, რომ გარკვეული პოლიტიკური პრობლემები მთელ პლანეტაზე ახდენს ზემოქმედებას. გლობალური დათბობა ამის ყველაზე საყურადღებო და თვალსაჩინო მაგალითია. თუკი გლობალური ტემპერატურა სულ რაღაც ორი ან სამი გრადუსით წამოიწევს, ტროპიკული ტყეები გაქრება, ხმელთაშუაზღვისპირეთი უდაბნოდ იქცევა, პოლარული დათვები გადაშენდება და მყინვარები გაქრება. რისკი გლობალიზებული გახდა, რისი დემონსტრაციაც ერთი თაობის წინ მოხდა, როდესაც 1986 წელს ჩერნობილის ატომური რეაქტორი აფეთქდა. იმ პერიოდში ვენესუელაში, იაპონიასა და მავრიკიაში ყოველდღიური გაზეთები შენუხებულები იუწყებოდნენ კატასტროფის შესახებ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო მასშტაბის სააგენტოებისა და არასამთავრობოების მომრავლება, ასევე მიუთითებს გლობალიზაციის მნიშვნელობაზე. გაერომ და ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორიცაა 'წითელი ჯვარი' და 'Amnesty International', 'Greenpeace' და 'დედამიწის მეგობრები', მუსლიმთა ქსელები და მეოთხე სამყაროს ქსელები, - დიდი წვლილი შეიტანეს მორალისა და პოლიტიკის შესახებ გლობალური დისკურსის განვითარებაში; თუმცა სანქციების სისტემა კვლავ სუსტია ან არ არსებობს. წინა თავში ვისაუბრეთ იმაზე, რომ ადამიანის უფლებებისათვის უნივერსალური კრიტერიუმის პოვნა ძალიან რთულია; კულტურის, პოლიტიკის, ეკონომიკისა და სამხედრო ძალების გლობალიზაციის გამო ეს კრიტერიუმები ეროვნულ დისკურსში ნელნელა ყველგან ინერგება, თუმცა პრაქტიკაში ყოველთვის არაა საყოველთაოდ მიღებული, რომ არაფერი ვთქვათ მათ რეალიზებაზე (Wilson, 1997; Mitchell and Wilson, 2003).

შიდსის მსოფლიო მასშტაბით გავრცელება კიდევ ერთი ჭკუის სასწავლებელი მაგალითია (თუ არა გროტესკული), რაც გვიჩვენებს, რომ გლობალიზაცია არ იზღუდება აბსტრაქტული სტრუქტურების შუამავლობით დამყარებული კონტაქტებით, მაგალითად, მასმედიით; ეროვნულ და რეგიონალურ საზღვრებზე კონტაქტი შეიძლება ფიზიკური და პირდაპირი იყოს.

გლობალიზაციის განზომილებები

მიუხედავად იმისა, რომ არც ისაა მართალი, თითქოს გლობალიზაციას გლობალური კულტურის ერთგვაროვნებისკენ მივყავართ, და არც ის, რომ გლობალური კავშირები უცნობი იყო მეოცე საუკუნის დასასრულამდე, მაინც არსებობს მტკიცე მიზეზები იმისა, რომ დავუშვათ – თანამედროვე მსოფლიოს ურთიერთკავშირი სოციალურ და კულტურულ დინამიკასთან დაკავშირებით – ახალ სიტუაციებზე მიუთითებს. გლობალიზაციის ზოგიერთი მნიშვნელოვანი განზომილება შემდეგნაირია (Eriksen, 2014 მიხედვით):

- *დაკავშირების მოშლა (Disembedding)*, მათ შორის, დელოკალიზაცია. გლობალიზაცია იმას ინვევს, რომ მანძილი შეუსაბამო, შედარებითი ან ძალზე უმნიშვნელო ხდება. იდეები, სიმღერები, წიგნები, საინვესტიციო კაპიტალი, შრომა და მოდა უფრო სწრაფად 'მოგზაურობს', ვიდრე ოდესმე და იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ერთ ადგილას დგანან, მათი ადგილმდებარეობა ხშირად ნაკლებად მნიშვნელოვანია. გლობალიზაციის ეს ასპექტი ტექნოლოგიური და ეკონომიკური ცვლილებებითაა განპირობებული, მაგრამ მას აქვს კულტურული და პოლიტიკური შედეგები. თუმცა პროცესი, ასევე, იმ გზებს მოიცავს, რომელთა მეშვეობითაც სოციალური ცხოვრება გამოცალკევდება მისი ლოკალური, სივრცეში ფიქსირებული კონტექსტიდან.
- *აჩქარება (Acceleration)*. მეოცე საუკუნეში ტრანსპორტის და კომუნიკაციის სიჩქარე გაიზარდა და აღნიშნული აჩქარება დღესაც გრძელდება. უკვე ითქვა, რომ მობილური ტელეფონების, ინტერნეტმომსახურებისა და სატელევიზიო სატელიტების მყისიერი კომუნიკაციის საუკუნეში 'შეყოვნება უადგილოა'. თუმცა, ცხადია, ეს მტკიცება გაზვიადებულია – შეყოვნება არსებობს, თუნდაც უნებლიე შედეგების სახით – სიჩქარე გლობალიზაციის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ნებისმიერ რამეს, თვითმფრინავის იაფფასიანი ბილეთიდან იაფ ზარებამდე, თავისი წვლილი შეაქვს სამყაროს ინტეგრირების საქმეში. 1990 წლიდან ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობის ექსპონენტური ზრდა მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანების საკმაოდ დიდი რაოდენობისთვის მანძილი დაშორებას აღარ გულისხმობს.
- *სტანდარტიზაცია (Standardisation)*. ნაციონალიზმითა და ნაციონალური ეკონომიკებით დაწყებული, სტანდარტიზაციის პროცესის გაგრძელებით, გლობალიზაცია ისეთ ქვეყნებში იწვევს შედარებითობისა და საზიარო სტანდარტების აღმოცენებას, რომლებშიც ადრე საერთოდ არ არსებობდა. ინგლისური ენის მეორე უცხო ენად მომეტებული გამოყენება ამ განვითარებაზე მიუთითებს ისევე, როგორც, მაგალითად, მსოფლიო მასშტაბით ერთნაირი სასტუმროებისა და სავაჭრო ცენტრების გავრცელება, ასევე, საერთაშორისო შეთანხმებების ქსელის ზრდა.
- *ურთიერთდაკავშირებულება (Interconnectedness)*. ადამიანების დამაკავშირებელი ქსელები კონტინენტებს შორის ყოველწლიურად სულ უფრო მჭიდრო, სწრაფი და ფართო ხდება. ურთიერთდამოკიდებულებას და ტრანსნაციონალურ კავშირებს მივყავართ მეტი საერთაშორისო შეთანხმების მიღწევამდე და საგარეო პოლიტიკის გარდასახვის აუცილებლობამდე. იგი, ასევე, ქმნის როგორც შესაძლებლობათა და შეზღუდვების ველს, ასევე შეზღუდვების ახალ ფორმებს.

- *მობილობა (Mobility).* მთელი მსოფლიო მოძრაობაშია, ან შეიძლება ზოგჯერ ასე გვგონია. მიგრაციის, საქმიანი მოგზაურობების, საერთაშორისო კონფერენციებისა და, რაც ასევე მნიშვნელოვანია – ტურიზმის მაჩვენებელი ბოლო ათწლეულებში საგრძნობლად გაიზარდა, რასაც სხვადასხვა კუთხით მნიშვნელოვანი შედეგები მოყვა ადგილობრივი საზოგადოებებისთვის, პოლიტიკისა და ეკონომიკისთვის.
- *შერევა (Mixing).* 'კულტურული გზაჯვარედინების' არსებობის მიუხედავად, სადაც სხვადასხვა წარმოშობის ადამიანები ხვდებიან ერთმანეთს, რომლებიც ისეთივე უძველესნი არიან, როგორც ქალაქური ცხოვრება, მათი რაოდენობა, ზომა და სახესხვაობა ყოველდღიურად მატულობს. ორივე – აზრთა სხვადასხვაობა და ურთიერთზემოქმედება შედეგია. გარდა ამისა, საინფორმაციო საუკუნეში კულტურის დონეზე შეტყობინებების მყისიერი ურთიერთგაცვლა, სავარაუდოდ, უფრო მეტ კულტურულ აღრევას იწვევს, ვიდრე ოდესმე კაცობრიობის ისტორიაში.
- *დაუცველობა (Vulnerability).* გლობალიზაცია იწვევს საზღვრების შესუსტებას და ზოგჯერ გაქრობასაც კი. ამ საუკუნეში გაძლიერებულია ყველაფრის დინება – ფულიდან დაწყებული, ლტოლვილებით დამთავრებული, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოებს უჭირთ თავიანთი ტერიტორიების არასასურველი დინებებისგან დაცვა. ტიპური გლობალიზებული რისკები მოიცავს შიდსს და სხვა გადამდებ დაავადებებს; ასევე ამ ბოლო დროს დაფიქსირებულ ღორის გრიპს, ტრანსნაციონალურ ტერორიზმსა და კლიმატურ ცვლილებებს. ზემოთ ჩამოთვლილთაგან ვერც ერთს ეფექტიანად ვერ გაუმკლავდება მხოლოდ ერთი ერი-სახელმწიფო და ხშირად აღინიშნება, რომ პლანეტა მთლიანობაში განიცდის ისეთი ეფექტიანი პოლიტიკური ინსტრუმენტების ნაკლებობას, რომლებსაც შეუძლია გლობალიზაციის ტექნოლოგიური და ეკონომიკური მექანიზმებით მართულ პროცესებთან გამკლავება და მათი რეგულირება.
- *დაკავშირების ხელახალი აღდგენა (Re-embedding). დაკავშირების მოშლის ტენდენციებზე გლობალიზაციის საკმაოდ ფართოდ გავრცელებული რეაგირება შეიძლება დავახასიათოთ, როგორც მისი ხელახალი აღდგენა.* სინამდვილეში, გლობალიზაციის ზემოხსენებულ შვიდივე ძირითად მახასიათებელს გააჩნია მაკომპენსირებელი ძალა, რომლებიც მათ უპირისპირდება და ალტერნატივებს ადგენს. წუთიერი დაკავშირების მომშლელი პროცესების მეშვეობით სოციალური სამყარო გახდა ფრაგმენტირებული, მაგრამ მას წინ აღუდგა მორალური ვალდებულებების ქსელები, რაც ეხება ადგილობრივი ძალაუფლებისა და საზოგადოების ინტეგრაციას, ეროვნული და ადგილობრივი იდენტობის პოლიტიკას, კულტურულ 'ავთენტობას' და ფესვგადგმულ იდენტობებს. ახალი სოციალური მოძრაობები, რომლებიც დაფუძნებულია გლობალური კაპიტალიზმით უკმაყოფილებაზე, ასევე, ერგება ამ სურათს (Maeckelbergh, 2009).

უფრო მეტიც, აჩქარება იმ სოციალური მოძრაობით ნეიტრალდება, რომელიც სხვადასხვა ფორმით ხელს უწყობს შენელებულობას. სტანდარტიზაცია ნეიტრალდება 'უნიკალური' საქონლითა და მომსახურებებით, ტრანსნაციონალური ურთიერთკავშირი – ლოკალიზმითა და ნაციონალიზმით, მოძრაობა – სტაბილურობისა და უნყვეტობის ძიებით, შერევა – კულტურული სიწმინდის მიმართ

ინტერესით, დაუცველობა – თვითგამორკვევისა და შედარებითი იზოლაციის მცდელობებით. ამგვარად, გლობალიზაცია არის დიალექტიკური პროცესი, სადაც, მაგალითად, საზღვრების შესუსტების გამომწვევი პროცესების რეგულირება მათი კვლავ გაძლიერების მცდელობებით ხდება; სადაც სიმდიდრე, რომელიც სახელმწიფოთაშორისი ვაჭრობით მოიპოვება, სიღარიბის დონის ზრდას ინვევს (რასაც ქალაქების ღარიბული უბნების მომრავლება მოწმობს) და სადაც სახელმწიფოთაშორის მიგრაციას ხშირად კულტურული გამოცოცხლება და ფესვებსა და წარმომავლობაზე აქცენტირებული იდეოლოგიების განმტკიცება მოსდევს თან.

მსოფლიოს მუსიკა (ეთნიკური მუსიკა)

კულტურული შერევის პროცესები იმას არ გულისხმობს, რომ 'ყველაფერი ერთნაირი ხდება', არც იმას, რომ ყველა სახის კულტურული დინება ურთიერთშერევას ექვემდებარება. ცოდნისა და პრაქტიკის ბევრი ფორმა ლოკალურია, ბევრი კი უფრო მეტად ექცევა ზემოქმედებაში სხვების მხრიდან, ვიდრე ზემოქმედებს სხვაზე.

მნიშვნელობის ზონა, რომელიც ხშირად მოიხსენიება, როგორც სხვადასხვა ზემოქმედებათა ურთიერთგაცვლის ხელსაყრელი ნიადაგი, თანამედროვე რიტმული მუსიკაა. შესაბამისად, ბლუზი, ჯაზი და როკი ხშირად 'კრეოლიზებულ' ფორმებად აღინერება, რომლებიც ჩრდილოეთ ამერიკის აფრიკელი მონების შთამომავლებმა შემოიტანეს. უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით კი 1980-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული, რიტმული მუსიკის ახალი ტენდენციის დემონსტრირება მოხდა, როგორც დისკრეტული ტრადიციების კრეატიული ნაზავის გამოხატულება. 'World Music' ან 'World Beat' სახელწოდებით ცნობილი ტენდენცია, რომელსაც ევროპულ გარემოში არაევროპული მუსიკის თავისებურებები ახასიათებს, თანამედროვე სტუდიურ ტექნიკას და ელექტრონულ ინსტრუმენტებს იყენებს, რათა გადმოსცეს, მაგალითად, 'აფრიკული სული'.

მსოფლიოს მუსიკის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ზოგიერთის მტკიცებით, იგი ავთენტური ტომობრივი მუსიკის კომერციალიზაციას ნარმოადგენს; დასავლურმა ხმის ჩამწერმა კომპანიებმა უბრალოდ აფრიკული და აზიური მუსიკის ადაპტირება მოახდინეს, რათა დაეკმაყოფილებინათ გამოცდილი დასავლელი მომხმარებლის გემოვნება და ამ ქმედებით გაანადგურეს იგი. მეორე მხრივ, შეიძლება აღინიშნოს, რომ 'გადასავლეთებული' ხელოვანები, როგორიცაა იუსუ ენ'დური (Youssou N'Dour) აფრიკაშიც ნარმოუდგენლად პოპულარულები არიან – მაშ, როგორ შეიძლება მათი ჩანაწერები გაყალბებულად ან 'არაავთენტურად' განიხილებოდეს? უმეტეს შემთხვევაში, ხელოვანთა ადგილობრივი პოპულარობა სინამდვილეში მათი საზღვარგარეთ აღიარებით სტიმულირდება. სტივენ ფელდი (Steven Feld, 1994) მსოფლიო რიტმის ტენდენციას უმეტესნილად განიხილავს, როგორც ზოგადად რიტმული მუსიკის გამაცოცხლებელ ძალას, სადაც ფელა ანიკულაპო კუტის (Fela Anikulapo Kuti) ისევე შეუძლია ჯეიმს ბრაუნისგან სესხება, როგორც პეტერ გაბრიელს – აფრიკელ დრამერთა გუნდის დაქირავება. როგორც ფელდი ნერს 'მსოფლიო პოპ-მუსიკის გააფრიკულება და აფრიკული პოპ-მუსიკის გაამერიკულება კომპლექსურად არის ურთიერთგადახლართული' (1994, გვ. 245), ის, ასევე, განიხილავს საავტორო უფლებების პრობლემებს და ძალაუფლებათა უთანასნორობას მეტროპოლიელ ხელოვანებს, ხმის ჩამწერ სტუდიებსა და არაევროპელ ხელოვანებს შორის.

მოგვიანებით გამოცემულ სტატიაში ფელდი ნაკლებ ოპტიმიზმს გამოხატავს მსოფლიო მუსიკის მიმართ. თავის სტატიაში 'A Sweet Lullaby for World Music' ('ტკბილი იავნანა მსოფლიოს მუსიკას'), იგი აღნერს, თუ 'როგორ შეიძლება ნებისმიერი და ყოველი ჰიბრიდული თუ ტრადიციული სტილი... გაერთიანდეს მსოფლიო მუსიკის ერთიანი

►

ბაზრის იარლიყით' (2003, გვ. 195), რასაც იმას ამატებს, რომ ეს არის არა მარტო კომერციული ტრიუმფი, არამედ, ასევე განსხვავების შემანუხებელი ბანალიზაცია. ამის მაგალითად ის ღებულობს სიმღერას 'Rorogwela', რომელიც აფუნაკვამ (Afunakwa, ბაეგუელი ქალი სოლომონის კუნძულებიდან) დანერა. ფელდი განაგრძობს იმის ჩვენებას, თუ როგორ ტრანსფორმირდება და ხელახლა იქმნება ზეპირი და ადგილობრივი მუსიკა დასავლელი მუსიკოსების მიერ, აღწერს იმ სირთულეებს, რომლებიც თან ახლავს თავდაპირველი კომპოზიტორების აღიარებისა და მიღებული შემოსავლიდან მათთვის კანონიერი ნილების გადაცემის პროცესს. ამ საკითხის განხილვისას, ფელდი ეხება პრობლემათა უფრო ფართო წრეს, კერძოდ, ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს (IPRs). ეპოქაში, რომელშიც ტრადიციული ხალხების კულტურული პროდუქცია ხელახლა იფუთება, როგორც კომერციულად მისაღები 'ეგზოტიკური' პროდუქტი, ბევრისთვის, განსაკუთრებით კი ადგილობრივი მოსახლეობისთვის, გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხად იქცა თავიანთ მუსიკაზე, ლიტერატურასა და ნაკეთობებზე კანონიერი უფლებების დაცვა (იხ., Kasten, 2004).

მუსიკალური ზემოქმედების დინებებს ხშირად პარადოქსული ეფექტები მოსდევს. ლეველენი (Lewellen, 2002) აღწერს კონგოური რუმბას განვითარებას 1920-1940-იან წლებში; ეს მუსიკა გიტარაზე სრულდება, რომელსაც ბევრი რამ კუბური მუსიკიდან აქვს ნასესხები. 1970-იანი წლებისთვის სოულის გავლენა ხდება თვალშისაცემი: ნანილობრივ აფრიკული ნარმოშობის კუბური მუსიკა და ამერიკული სოული აფრიკაში დაბრუნდა, რათა ადგილობრივ სტილებს შერწყმოდა. მოგვიანებით, კონგოური პოპულარული მუსიკის ვარიანტი – *სუკუსი* (the soukouss) ევროპაში პოპულარული გახდა, სადაც იგი მიიღეს როგორც *'la vraie musique africaine'* (ნამდვილი აფრიკული მუსიკა). მიუხედავად იმისა, რომ სუკუსს იშვიათად უსმენდნენ აფრიკაში, სადაც სიმღერის ტექსტი ადგილობრივ ენებზე სრულდებოდა და ხშირად ძლიერ პოლიტიზებული იყო, იგი ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც მელოდია და რიტმი.

მუსიკალური დისკურსები ის სფეროა, სადაც იდენტობების გარკვეული სახეები ფორმირდება და ამ მიზეზით პოპულარული მუსიკის გლობალური დინება შეიძლება თანამედროვე კულტურული დინამიკის, ასევე, პოლიტიკური ეკონომიკის შესწავლისთვის ნაყოფიერ ველს ნარმოადგენდეს. ავთენტურობის საკითხზე მიმდინარე დებატები თავისთავად საინტერესოა, ვინაიდან იგი კულტურის ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებებს ავლენს, როგორც უწყვეტი ტრადიცია, დინება თუ პროცესი. ეს საკითხები არათუ ესთეტიკურია, არამედ გარდაუვლად პოლიტიზებულიც არის და პიროვნების იდენტობაზე ახდენს ზემოქმედებას.

გლობალური პროცესების ადგილობრივად გათავისება

ინტერაქციის დონეზე, გლობალური პროცესები ბევრ სფეროში ვლინდება. 2001 წელს აშშ-ში მომხდარ ტერორისტულ თავდასხმას დაუყოვნებლივ განიხილავდნენ ჩინურ სოფლებსა თუ ირანის ქალაქებში. ობამას აშშ-ს პრეზიდენტად არჩევა უყურადღებოდ არ დარჩენიათ არც ერთი ქვეყნის ჟურნალისტებს, ბლოგერებსა და კომენტატორებს. 2014-2015 წლების აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე არეულობას გადასცემდა ყველა მედიასაშუალება, დაწყებული ნეპალიდან – მარშალის კუნძულებით დასრულებული და ა.შ. სავარაუდოდ, მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესობა ამ მოვლენების ზემოქმედების ქვეშ მოექცა. პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს მსოფლიოს ნებისმიერ

კუთხეზე (მაგალითად, გლობალური დათბობა და ტრანსნაციონალური ტერორიზმი) ხშირად იმ ადამიანების ყურადღებას იპყრობს, რომლებიც პირდაპირ არ ექვემდებარებიან ამ ზემოქმედებას. სხვა სიტყვებით, არსებობს სიტუაციები, როდესაც მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი საკუთარ თავს აღიქვამს 'მსოფლიო მოქალაქედ' იმ თვალსაზრისით, რომ ისინი განიცდიან იმ პრობლემებს, რომლებიც მთელი პლანეტის მცხოვრებთ ეხებათ.

ის ფაქტი, რომ კულტურული ფენომენი 'გლობალურია', სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი საყოველთაოდ ცნობილია და ეხება თითოეულ პიროვნებას დედამიწის ზურგზე. Coca-Cola-ს ლოგოც კი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გრაფიკული ობიექტია მსოფლიოში, შეიძლება ზოგისთვის უცნობი იყოს. მთავარი ისაა, რომ ასეთი ფენომენები მოიშლება (disembedded) გარკვეული ადგილებიდან. ისეთ მოვლენას, როგორიცაა ზამთრის ოლიმპიური თამაშები, გლობალური განზომილება აქვს (Klausen, 1999) იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა არ იცის მის შესახებ. განურჩევლად იმისა, თამაშები მონრეალში იმართება, მილანში თუ ბირმინგემში, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ასეთი სპორტული მოვლენისთვის თვალყურის დევნება ერთდროულად ონლაინტრანსლირებისა და ტელევიზიის წყალობით. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა, ვინც დაკავშირებულია ამ კულტურულ ფორმებთან, ერთნაირად აღიქვამს მათ: გლობალური სიმბოლოები და გლობალიზებული ინფორმაცია ადგილობრივი ინტერესების შესაბამისად ინტერპრეტირდება (და წვლილი შეაქვს ამ შეხედულების ფორმირებაში). ამგვარად, *'Vogue'*-ის მსგავსი მოდების ჟურნალი სხვაგვარად იკითხება ტროპიკულ კუნძულზე, მაგალითად მავრიკიაში. ასევე, ტელესერიალი *Game of Thrones* ('სატახტოთა თამაში)' პარიზთან შედარებით სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს ტრინიდადში აშშ-სთან შედარებით. ეს და ბევრი სხვა კულტურული ფენომენი გლობალურია იმ გაგებით, რომ ისინი ერთ კონკრეტულ ადგილას არ არსებობს; იმავდროულად, ლოკალური არიან იმ თვალსაზრისით, რომ ყოველთვის ადგილობრივი გაგებით აღიქმება და ინტერპრეტირდება.

კულტურული დინება ყოველთვის ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიმავალი როდია. კერძები, ლიტერატურა და მუსიკა საპირისპირო მიმართულებითაც შეიძლება მიემართებოდეს. შორეულ ადგილებში მიმდინარე მოვლენები, შესაძლებელია, ადგილობრივი გამოსვლების სიტუაციებში იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც, მაგალითად, 2015 წელს პარიზში სატირული ყოველკვირეული გაზეთის *'Charlie Hebdo'*-ს კარიკატურისტებისა და ჟურნალისტების ჯიჰადისტების მიერ მასობრივი ჟლეტა განიხილებოდა და სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირდებოდა – ევროპული ქალაქების ახალგაზრდულ უუფლებო უმცირესობებს შორის, იგივე ადგილებში – საშუალო კლასის თეთრკანიან ინტელექტუალებს შორის, მემარჯვენე ნაციონალისტებსა და ლიბერალებს შორის...

ტურიზმი და მიგრაცია

გლობალიზაციის ერთი პერსპექტივა იმაში მდგომარეობს, რომ შევისწავლოთ თუ როგორ შეუძლიათ ადამიანებს (სადაც არ უნდა იყვნენ) გარკვეული საზიარო მნიშვნელობის შექმნის პროცესში მონაწილეობა, ერთი და იგივე ინფორმაციის ფლობა და მისი ინტერპრეტირება აბსოლუტურად განსხვავებულ გარე-

მოში. დამატებით პერსპექტივას შეიძლება წარმოადგენდეს ხალხის ერთი ადგილიდან მეორეში ფიზიკურად გადაადგილების ხერხების შესწავლა. ტურიზმი და საქმიანი მოგზაურობა გადაადგილების ფართოდ გავრცელებული ფორმებია, რომელთაც აქამდე არ მიქცევია ანთროპოლოგების სათანადო ყურადღება (გამონაკლისის სახით, იხილეთ Hannerz, 1992; Appadurai, 1996; Löfgren, 1999; Yamashita, 2003; Hitchcock, et al. 2008). მაგალითად, მართალია თუ არა, რომ ადგილი, ლოკალურობის მნიშვნელობით, აბსოლუტურად შეუსაბამოა ტურისტებთან და საქმიან მოგზაურებთან მიმართებით; რომ საერთაშორისო ბიზნესსასტუმროები 'ყველგან' ერთნაირია, რომ საზიარო 'ბიზნესკულტურა' და საზიარო 'გლობალური 'დასვენების' კულტურა იდენტურია კანკუნში (მექსიკა) და კანარის კუძულებზე? უფრო მეტიც, შეიძლება თუ არა ეს კულტურული ფორმები, რომლებიც იკვეთება სასტუმროებში, აეროპორტებში, სხდომათა დარბაზებსა და სანაპირო კლუბებში – წარმატებულად მივიჩნიოთ, როგორც სხვადასხვა ადგილობრივ კულტურათა შორის გაშუალებული 'მესამე კულტურა'? ისტორიულად ორიენტირებულ კვლევაში ორვარ ლოფგრენი (Orvar Löfgren, 1999) შეისწავლის ტურიზმის აღმასვლას მეცხრამეტე საუკუნიდან – გვიანი მეოცე საუკუნის ბოლომდე პერიოდში, და მიუთითებს, თუ როგორ შეიცვალა ამ ფენომენმა მნიშვნელობა მაშინ, როცა ახალმა ჯგუფებმა (საშუალო კლასიდან მუშათა კლასამდე) აქტიურად ჩაანაცვლეს ელიტური მოგზაურები. ამასთან, იგი მოხიბლულია ტურიზმის სექტორის აშკარა ზრდით. თუკი ადამიანი დასასვენებლად ხმელთაშუა ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე მიდის, იგი, ასევე, შეიძლება შეეგუა მუდმივი განაშენიანების გარემოში დარჩენას; ასეთია ზრდის მაჩვენებელი. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პროგნოზების თანახმად, უცხოეთში ნამსვლელ ტურისტთა რაოდენობა 2020 წლისთვის 1.6 მილიარდამდე გაიზრდება. 2012 წელს ამ რიცხვმა მილიარდს მიაღწია და იგი გახუთმაგებულია 1970-იანი წლების შემდეგ.

კომაროფებმა (Comaroff and Comaroff, 2009), ნინ კიდევ ერთი ნაბიჯით წანევის სურვილით, შეისწავლეს ის გზები, რომელთა მეშვეობითაც სამხრეთ აფრიკის ეთნიკური ჯგუფების გარკვეულმა რაოდენობამ საკუთარი კულტურული იდენტობებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების 'კორპორაციული სტრატეგიები' განავითარა, რომლებიც, ძირითადად, ფართო მოხმარების საქონლის გაყიდვასა და კულტურულ ტურიზმს მოიცავდა. იდენტობის კომერციალიზაციის (და არა პოლიტიზაციის) სასარგებლოდ არჩევანის გაკეთებით, ზოგიერთმა ჯგუფმა საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია, თანაც ერი-სახელმწიფოსათვის პოლიტიკური საფრთხის შექმნის გარეშე.

ამასთან დაკავშირებული ინტერესის სფერო, რომელიც გაცილებით უფრო სიღრმისეულად იქნა შესწავლილი, არის იმიგრაცია და ემიგრაცია, რაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი ქვეყნის გადასახედიდან განვიხილავთ მას, ან, მარტივად, ტრანსნაციონალიზმი, რომელიც ორივე ქვეყანას მოიცავს. განსაკუთრებით კი მათ შორის არსებულ ორაზროვან ან ლიმინალურ კულტურულ სივრცეს (Vertovec, 2009).

შრომითი მიგრანტები მოძრაობენ თანამედროვეობის პარამეტრებში. მათ აქვთ პასპორტები, არიან მოქალაქეები. მათი გადაადგილების წინაპირობაა სურვილი, ჩაერთონ დაქირავებულ სამუშაო პროცესში. იმისათვის, რომ შრომითი მიგრაცია შესაძლებელი გახდეს, აუცილებელია, რომ მიგრანტები, ნაწილობრივად მაინც, ინტეგრირებულნი იყვნენ კაპიტალიზმის კულტურულ ლოგიკაში.

ზოგიერთ სხვა შესაძლო ანალიტიკურ პერსპექტივას შეუძლია შუქი მოჰფინოს ამ სიტუაციას. ერთ-ერთი მიდგომა ფოკუსირდება მასპინძელ ქვეყანაში უმრავლესობასა და უმცირესობას შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე; მეორე მიდგომით, ერთმანეთს ადარებენ მიგრანტების სიტუაციას, კულტურას და სოციალურ ორგანიზაციას თავიანთ სამშობლოში და დანიშნულების ქვეყანაში. მესამე მიდგომით, შესაძლებელია მიგრაციის სხვადასხვა პერსპექტივის შედარება. მაგალითად, ქუვეითი და სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნები ათასობით იმიგრანტს ან 'სტუმარ მუშაკებს' ('guest workers') იზიდავს. ქუვეითის მოსახლეობის დომინანტური გადასახედიდან, ეს მიგრანტები 'აუცილებელ ბოროტებას' წარმოადგენენ - აუცილებელს იმიტომ, რომ ისინი ფიზიკურ შრომას ეწევიან; ბოროტებას იმიტომ, რომ პოტენციურ უცხოურ საფრთხეს წარმოადგენენ იმ ქვეყანაში, სადაც ქუვეითური ნარმოშობის მოსახლეობა მხოლოდ 20 პროცენტს შეადგენს. ჰუმანისტური ევროპული გადასახედიდან, რომელსაც ხშირად ეყრდნობიან მიგრაციის სოციოლოგიურ კვლევებში, ამ მიგრანტების სიტუაცია შეიძლება აღიწეროს მძიმე ექსპლუატაციის შემთხვევად; მათ შესაბამისად არ უხდიან, ზედმეტად ამუშავებენ, შეზღუდული აქვთ უფლებები რაც (გარკვეული იდეების გლობალიზაციის წყალობით) უნივერსალურ მოვლენად მიიჩნევა. სხვა პერსპექტივიდან, კერძოდ, უშუალოდ, მიგრანტების პოზიციიდან, მდგომარეობა შეიძლება განსხვავებულად გამოიყურებოდეს. ათასობით მალაიალელი (the Malayalee) კერალადან (სამხრეთ ინდოეთი) სულმოუთქმენლად ელოდება სპარსეთის ყურეში დასაქმების შანსს. სახლში დაბრუნებისას, მათ ფული და საჩუქრები ჩამოაქვთ და, შესაძლებლობის შემთხვევაში, ბრუნდებიან ყურეში სამუშაოდ (Wilhite, 2008). ინდოეთის ფინანსთა მინისტრი მათ სახალხოდ აქებს ქვეყანაში მყარი ვალუტის შემოტანისთვის.

თქვენი პოზიცია დამოკიდებულია თქვენ მიერვე შერჩეულ პერსპექტივაზე. თითოეული სოციალური და კულტურული ფენომენი სხვადასხვაგვარად შეიძლება განიმარტოს იმის მიხედვით, თუ რომელი მხრიდან განვიხილავთ მას. იქ, სადაც გლობალურ სისტემაში ურთიერთქმედებით ინტერესდებიან, მსგავსი სახის ორაზროვნება ტიპურია, რაც კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ხალხი სულაც არ ხდება 'ერთნაირი' მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმანეთთან მეტად ურთიერთობენ. ადამიანების ცხოვრება არც გლობალურია და არც ლოკალური, მათი ცხოვრება '*გლოკალურია*'.

გარდა ამისა, სულ უფრო თვალსაჩინო ხდება, რომ ტერმინი 'დასავლური კულტურა' აშკარად უზუსტოა. განმარტებისა და განსაზღვრების შესაბამისად, 'დასავლეთი' თავის თავში მოიცავს 700 მილიონიდან 1 მილიარდამდე მოსახლეს. სხვა სიტყვებით, ეს არ არის 'კულტურა', ეს დიდი რაოდენობით საზოგადოებები და აბსოლუტურად განსხვავებული კულტურული გარემოებებია. გარდა ამისა, მიგრაციისა და კულტურული გლობალიზაციის გამო კულტურული ნაირსახეობების მოდელების წარმოშობა იმას გულისხმობს, რომ 'დასავლეთი' ისეთივე მოცულობით არსებობს ნაირობის საშუალო ფენის დასახლებაში, როგორც მელბურნში; ასევე იმას, რომ ბუენოს აირესი შეიძლება განიხილებოდეს უფრო ტიპურ 'ევროპულ' ქალაქად, ვიდრე ბრედფორდი, სადაც მოსახლეობის უმეტეს ნაწილს სამხრეთაზიური წარმოშობის მუსლიმები შეადგენენ. შეუძლებელია 'დასავლეთის' არსებითად საზოგადოების სახედ კონცეპტუალიზება: იგი უფრო მეტად კულტურის ასპექტად და სოციალურ ორგანიზაციად უნდა იქნეს აღქმუ-

ლი, რომელიც არ არის ლოკალიზებული რომელიმე კონკრეტულ 'კულტურულ სფეროში', კერძოდ, იმად, რაც აქ წოდებული იყო 'თანამედროვეობად'.

მიგრაცია და კულტურული იდენტობა

მესამე ათასწლეულის დასაწყისში მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს მობილობა, გადაადგილება და გადასახლება წარმოადგენს. 2014 წელს 230 მილიონზე მეტი ადამიანი თავისი მშობლიური ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობდა და ეს რიცხვი კიდევ უფრო იზრდება. ამასთან, მიგრანტების ბევრი შთამომავალი (რომლებიც დაიბადნენ ქვეყანაში, სადაც ამჟამად ცხოვრობენ), ნებსით თუ უნებლიეთ – უმცირესობას ქმნიან (თავი 18). ამ თვალსაზრისით მღელვარე წარსულისა და აწმყოს მქონე ქვეყანას კარიბის კუნძულები წარმოადგენს, სადაც მიგრაციის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ანთროპოლოგიური კვლევა ჩატარდა.

კარენ ფოგ ოლვიგის (Karen Fog Olwig's) მიერ ჩატარებული კარიბული კულტურისა და ისტორიის კვლევა (1993, 2003, 2007) თვალნათლივ ავლენს, თუ რატომ არ შეიძლება კონცენტრირდებოდეს თანამედროვე ანთროპოლოგიური კვლევა საზოგადოებაზე, ამასთან, იგი არც სინქრონულ 'მომენტალურ ფოტოგრაფიას' წარმოადგენს. ნევისელი საზოგადოების ანალიზში (Olwig, 1993; ნევისი სენთ კიტისა და ნევისის ნაწილს წარმოადგენს დაახლოებით 10.000 მოსახლით), მეცნიერი აჩვენებს, რომ ეს საზოგადოება პოლიტიკური, კულტურული თუ ეკონომიკური, ან თუნდაც დემოგრაფიული თვალსაზრისით – არასოდეს ყოფილა თვითკმარი. ახლანდელი მოსახლეობის წინაპრები აქ მონებად და პლანტატორებად ჩამოვიდნენ და კუნძულზე აფროკარიბული კულტურა და სოციალური ორგანიზაცია განვითარდა (ლოკალურ ფაქტორებსა და გლობალურ პროცესებს შორის ზღვარზე). ნევისელები, როგორც მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ნაწილი, დამოკიდებულნი არიან გარე ძალებზე; მაგრამ ოლვიგი აქვე იმასაც აჩვენებს, თუ როგორ აქტიურად მოახდინეს მათ საკუთარი ცხოვრების წესის ფორმირება. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ათწლეულების განმავლობაში გარე-მიგრაციის მაღალი დონე (ძალიან ცოტა ნევისელია, რომელთა ნათესავებიც ისეთ დიდ ქალაქებში არ ცხოვრობენ როგორიცაა ლონდონი, ნიუ-იორკი თუ ტორონტო) მარტივად შეიძლება განვიხილოთ უკიდურესი დამოკიდებულების გამოხატულებად; მაგრამ იგი ასევე შეიძლება შევისწავლოთ, როგორც მენარმეობისა და მნიშვნელოვანი კულტურული ადაპტაციის უნარის შედეგი.

ბრიტანეთში ნევისელი მიგრანტების კვლევაში ოლვიგი აჩვენებს, რომ იქ ხდება კოდიფიკაცია და მკაფიო ნევისიული იდენტობის შექმნა უცხო კულტურასთან ინტენსიურ კავშირში (როგორც ადგილობრივ ბრიტანულ იდენტობასთან შეპირისპირება). ამასთან, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, იგი ამტკიცებს, რომ ყოველწლიური კარიბული კარნავალი დასავლეთ ლონდონში – ნოუთინგ ჰილსში (იხ. A. Cohen, 1993) შეიძლება განვიხილოთ არა მხოლოდ კარიბული კულტურული იდენტობის კონსტრუირებად, არამედ, ასევე, დაკარგული ინგლისური კარნავალის ტრადიციის გაცოცხლებად. მიგრაცია სულაც არ გულისხმობს მიგრანტების თავიანთ მშობლიურ კუნძულთან კავშირების გაწყვეტას, რაც ნევისელების ადგილობრივ იდენტიფიკაციას აძლიერებს. ისინი ნევისის შესახებ თანაგრძნობითა და

ნოსტალგიით საუბრობენ, თავიანთ ოჯახებს რეგულარულად უგზავნიან ფულს; ბევრი მათგანი ნევისში უძრავ ქონებაშიც კი ახდენს ინვესტირებას. შესაბამისად, მიგრანტები და მათი შვილები წარმოადგენენ მნიშვნელოვან მოქმედ პირებს ნევისის კულტურულ და ეკონომიკურ პროექტებში იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ატლანტიკის ოკეანის საპირისპირო მხარეზე ცხოვრობენ.

ბევრ მიგრანტულ თუ დიასპორულ მცხოვრებთა შორის კულტურული იდენტობა მნიშვნელოვანი საკითხია. სიწმინდისა და 'ავთენტობის' მოთხოვნები (გვხვდება როგორც უმცირესობათა ფარგლებში, ისე მის გარეთ) კმაყოფილდება პიროვნების უფლებების, ცვლილებებისა და არჩევნისკენ მონოდებებით. იმ საზოგადოებებში, რომლებიც გიდენსის (Giddens, 1991) მიერ პოსტტრადიციულ საზოგადოებადაა აღწერილი, ტრადიცია არ ქრება, მაგრამ ის გაცნობიერებულად უნდა იყოს არჩეული და დაცული შესაძლო ალტერნატივებისგან. როგორც გერდ ბაუმანი (Gerd Baumann, 1996) თავის მულტიეთნიკური ინგლისური უბნის კვლევაში აღწერს, ტრადიციების ხელმისაწვდომი ვარიანტები იმდენად მრავალფეროვანია, რამდენადაც ისინი შეიძლება სადავო იყოს.

გადასახლება და დეტერიტორიზაცია

The Satanic Verses ('სატანური ლექსები', Rushdie, 1988) რუშდის რომანია, რომელმაც ავტორს *ფათვა*, ანუ სიკვდილით დასჯის განაჩენი მოუტანა (დაუსწრებლად) თეირანელი შიიტი იმამებისგან. წიგნი არ ეხება ისლამს, იგი, ძირითადად, გადასახლებაზეა და Air India-ს ავიახაზების ბომბეი-ლონდონის 420-ე რეისზე მუდმივად ყოფნის თაობაზე მოგვითხრობს. წიგნში რუშდი აჩვენებს, თუ როგორ იწვევს გადასახლებით გამოწვეული პერსპექტივის ცვლა ეჭვებსა და გაურკვევლობას, იმიტომ, რომ გადასახლებაში მყოფი ადამიანი აღმოაჩენს, რომ სამყარო, წარსული და ჭეშმარიტებაც კი (საბოლოო ჯამში), სხვადასხვაგვარად ჩანს განსხვავებული პოზიციებიდან. მიგრანტთა ჯგუფებს შორის ეთნიკური გამოცოცხლება შეიძლება გაგებულ იქნეს ამ პერსპექტივიდან. ნოსტალგიისა და გაუცხოების გრძნობაზე დაყრდნობით, ასეთი მოძრაობები ცდილობენ წარსულთან, ონტოლოგიურ უსაფრთხოებასთან და პირად უსაფრთხოებასთან კავშირის უწყვეტობის ხელახლა ჩანერგვას.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს ანთროპოლოგებისა და სოციოლოგების დიდი ყურადღება ეთმობა, ეთნიკური და რელიგიური გამოცოცხლება მედლის მხოლოდ ერთ მხარეს წარმოადგენს. ცხადია, ის პროცესები, რომლებიც ზოგჯერ გაცოცხლებას და, ამავდროულად, საპირისპირო შედეგსაც იწვევს (კერძოდ, გაუგებრობას, ამბივალენტობას და ინდივიდუალიზმს), ყურადღებას იმსახურებს. ესაა გლობალიზაციის პროცესები, რომელთა მეშვეობითაც ხალხი ერთვება ცვალებად სოციალურ და კულტურულ ქსელებში, რომლებიც ზოგჯერ გასაოცარ მასშტაბებს აღწევს, სადაც, ზიგმუნდ ბაუმანის (Zygmunt Bauman) მოსაზრებით, საზოგადოება 'ყოველგვარ თავისუფლების შეზღუდვას არაკანონიერად აცხადებს, ამავდროულად, ანადგურებს სოციალურ განსაზღვრულობას და ახდენს ეთნიკური ორაზროვნების ლეგალიზაციას' (1992, გვ. xxiv).

ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, ეს საკითხი ემპირიულად უნდა იქნეს შესნავლილი (იხ. Eriksen et al. 2010). რამდენიმე წლის წინ აპადურაიმ (Appadurai,

1990) წარმოადგინა თანამედროვე სამყაროში კულტურული დინების კვლევის სტრუქტურა, რომელსაც (მათ შორის, მცირე ცვლილებებით) კულტურული კომპლექსურობის ბევრი თანამედროვე კვლევა ეყრდნობა. იგი გამოყოფს გლობალური კულტურული დინების ხუთ განზომილებას, რომლებსაც ფუნქციონირების სხვადასხვა სახე აქვს.

ეთნოშაფტი (ethnoscape) წარმოადგენს 'პიროვნებათა ლანდშაფტს, რომლებიც შეადგენენ იმ სამყაროს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ' – სხვა სიტყვებით, სამყაროს დემოგრაფიულ დამოკიდებულებებს – ტურიზმს, მიგრაციას, გადასახლებას, საქმიან მოგზაურობას; ასევე, სტაბილურ საზოგადოებებს.

ტექნოშაფტი (technoscape) გულისხმობს 'ტექნოლოგიის გლობალურ კონფიგურაციას', რომელიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს კულტურული მნიშვნელობის დინებაზე; ასევე, მოიცავს ტექნოლოგიის არათანაბარ, გლობალურ განაწილებას.

ფინანშაფტი (finanscape) წარმოადგენს კაპიტალის დინებას, რომელიც სულ უფრო იდევნება ტერიტორიებიდან. ერთიანობაში, ეს სამი განზომილება ქმნის გარკვეულ გლობალურ ინფრასტრუქტურას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ არის პროგნოზირებადი, ვინაიდან თითოეული მათგანი 'ექვემდებარება საკუთარ შეზღუდვებსა და სტიმულებს'.

ბოლო ორი განზომილება, რომლებიც წარმოდგენათა ფორმირებას ეხება (ideational), არის *იდეოშაფტი* და *მედიაშაფტი*, შესაბამისად, ისინი ეხება იდეოლოგიურ ინფორმაციასა და მასმედიის კონსტრუქციებს.

აპადურაის სტატიის მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც უკანასკნელ პერიოდში გლობალიზაციის შესახებ კვლევების ავტორებს აქვთ გამოყენებული, არის დე-ტერიტორიზაცია (ის უბრალოდ კი არ ეხება ფართო მასშტაბს, არამედ ამცირებს სივრცობრივი განზომილების, როგორც ასეთის, მნიშვნელობას), რომელიც სოციალური და კულტურული სამყაროს ახალი კონცეპტუალიზაციის აუცილებლობას წარმოშობს. იდეები, ტექნოლოგიები, ხალხი და ფული თანამედროვე საუკუნეში შეიძლება იყოს და არიან კიდეც იმაზე უფრო ხშირ, სწრაფ და მარტივ მოძრაობაში მსოფლიოს ირგვლივ, ვიდრე გასულ საუკუნეებში. ერთი მიზეზი, რომელიც ხშირად აღიწერება გადაადგილების თვალსაზრისით, ესაა მოძრაობაში ან გადასახლებაში მყოფი ხალხის რაოდენობის ზრდა. მეორე შედეგი არის ადგილის გათვითცნობიერებული კონსტრუირება, ვინაიდან ადგილი, როგორც კულტურული მნიშვნელობით დატვირთული სივრცე, ხალხის მიერ უკვე აღარ იქნება აღქმული, როგორც ნაბოძები. ადამიანის საცხოვრებელი ადგილი შეიძლება მკეთრად შეიცვალოს ან იგი საცხოვრებლად სხვაგან წავიდეს. ადგილები შეიძლება მულტივოკალური იყოს ისევე, როგორც სიმბოლოები, იმ გაგებით, რომ ადგილი სხვადასხვა რამეს ნიშნავს სხვადასხვა ადამიანისთვის ან სხვადასხვა სიტუაციაში (Rodman, 1992). ყველაფერი ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხალხი დეტერიტორიზებული ხდება; უბრალოდ, ადგილის კონსტრუირება თავისთავად პროექტად იქცევა (როგორც კულტურული იდენტობის შემთხვევაში) მაშინ, როდესაც წარსულში ადგილი შეიძლება ბოძებულად ყოფილიყო აღქმული. ეს, ასევე, იმას ნიშნავს, რომ 'ადგილი' ცვალებად ტერმინად გარდაიქმნება; ასე რომ, 'ნევისი' იქცევა კვანძური ნერტილების მქონე ბადედ ლონდონში, ნევისში და სხვაგან. შესაბამისად, სწრაფი კომუნიკაციების ერაში მიგრაციის ფაქტი, ასევე, გზას უკვალავს *დისტანციურ (დიასპორალურ) ნა-*

ციონალიზმს (long-distance nationalism) (Anderson, 1992), რომელშიც მოცემულ ტერიტორიაზე პოლიტიკური სცენა შესაძლოა ნაწილობრივ მიგრანტების მიერ იყოს ფორმირებული. ნორვეგიაში გადასახლებულ ტამილელ იმიგრანტებზე კვლევაში, ოივინდ ფუგლერუდი (Øivind Fuglerud, 1999) აჩვენებს, რომ ბევრი მიგრანტისათვის ძირითადი ნუხილი კი არ ეხება მათ ინტეგრაციას ევროპულ საზოგადოებაში, არამედ შრი ლანკაში სეპარატისტების მოძრაობის ხელშეწყობას. იდეოლოგიური სხვაობა და დაძაბულობები მიგრანტებს შორის ასახავს განსხვავებებს შრი ლანკაში და არა ნორვეგიაში. რუშდის საქმე, სხვა სიტყვებით, წარმოადგენდა უფრო ზოგადი პროცესის შთამბეჭდავ მაგალითს, რომელშიც ტერიტორიული საზღვრები კი არ ქრება, არამედ იგი ეჭვქვეშაა დაყენებული ტელეკომუნიკაციებისა და დიასპორული მოსახლეობის მიერ.

ზოგიერთი კედელი ინგრევა, ზოგიც – შენდება. უსაზღვრო სამყაროს იდეა ვერ იქნა რეალიზებული გლობალიზაციის თანამედროვე პროცესების მეშვეობით. უფრო სწორად, ძველი დაძაბულობების პერეფრაზირება მოხდა და მათ ახალი დაძაბულობები დაემატა. სულ უფრო მეტი ადამიანი კულტურულად რთულ სიტუაციებში იმყოფება, სადაც მათი კულტურული იდენტობა, ღირებულებები და პრაქტიკა აღარ ითვლება მინიჭებულად, იგი აღარ არის თავისთავად ნათელი რამ ან ის რაც აქტიურად უნდა იყოს დაცული.

ახლა ჩვენ გადავდივართ გლობალიზაციის (ან გლოკალიზაციის) შემდგომ რამდენიმე შედეგზე, რომლებმაც გავლენა იქონიეს ანთროპოლოგიურ კვლევებზე.

ზოგიერთი შედეგები ანთროპოლოგიისათვის

კულტურის გლობალიზაციას არ მივყავართ იქითკენ, რომ ჯგუფები და ადამიანები კულტურულად იდენტურები ხდებიან. იგი, უფრო სწორად, გლობალურსა და ლოკალურს შორის ზღვარზე ახალ კულტურულ სხვაობათა ნაირსახეობის ზრდას იწვევს. ემპირიულ მაგალითებზე გადასვლამდე, მინდა შევაჯამო მოცემულ დრომდე მიმდინარე დისკუსია გლობალიზაციის შედეგების გავლენაზე ანთროპოლოგიური შეხედულებზე და კვლევებზე.

- ნელ-ნელა გასაგები ხდება, რომ ცნებები 'ტრადიცია' და 'თანამედროვეობა' წმინდა ანალიტიკურ განსხვავებებს მიეკუთვნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაშინ, როცა ყოველთვის არასასურველი იყო, ახლა უკვე მიუღებლად იქცა ვილაპარაკოთ ტრადიციულ და თანამედროვე საზოგადოებებზე ემპირიული თვალსაზრისით.
- ცნებები – საზოგადოება და კულტურა ახლა უფრო პრობლემატური გახდა, ვიდრე ოდესმე. კომუნიკაციის, მიგრაციის, სავაჭრო კაპიტალის, საინვესტიციო და პოლიტიკური ქსელები ვირტუალურად ყველა საზღვრებს კვეთენ; რამდენიმე გამონაკლისის გარდა ვერც სახელმწიფოები და ვერც ლოკალური საზოგადოებები სინამდვილეში ვერ იქნებიან ყოველმხრივ მკვეთრად გამიჯნული ერთმანეთისგან. 'კულტურები' არც დახურულია და არც შინაგანად ერთგვაროვანია.
- იმდენად, რამდენადაც, ბევრ შემთხვევაში შეუძლებელი გახდა საკვლევი სისტემების მკვეთრი გამიჯვნა, უფრო საინტერესოა სპეციფიკური ჯგუფე-

ბის ან კულტურული ფენომენის შესწავლა (როგორიცაა ფეხბურთის მსოფლიო თასი, ტურიზმი, მიგრაცია), რომელიც არ ქმნის ავტონომიურ სისტემას სოციალური თუ კულტურული თვალსაზრისით; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ანალიტიკური მიზნებისათვის შესაძლებელია მისი იზოლირება.

- კლასიკური საველე სამუშაოები უკვე არასაკმარისია, როგორც მონაცემებისა და იდეების შეგროვებისა და ანალიტიკური დასკვნების მიღების ერთადერთი მეთოდი, რათა გავიგოთ მსოფლიო სოციალური და კულტურული ცხოვრება. საველე მუშაობას, რომელიც ახლა ხშირად ტრანსლოკალურია ან მრავალ ადგილზე მიმდინარეობს, ზოგადად, უნდა დაემატოს დამატებითი წყაროები, რომლებიც ჩართული დაკვირვების გზით (სტატისტიკა, მასმედია, ადგილობრივი ტექსტები და ა. შ.) შესასწავლი ფენომენის კონტექსტზე უფრო ფართოდ წვდომის საშუალებას იძლევა. ახალი მეთოდოლოგიის შთამბეჭდავი მაგალითი წარმოდგენილია კაროლინ ნოულსის (Caroline Knowles) კვლევაში 'the flip-flop trail' (ფლოსტის კვალი, Knowles, 2014), რომელშიც ავტორი მიჰყვება ამ მარტივი ფეხსაცმლის კვალს ნავთობის საბადოდან ქუვეითში, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და წარმოების ობიექტების გავლით – ბაზრებამდე, საზოგადოებებამდე და საბოლოოდ – ნაგავსაყრელებამდე.

'თანამედროვეობის მკვიდრად ქცევა' (ინდიგენიზაცია)?

ჯერ კიდევ 1960-იან წლებში მედიის თეორეტიკოსმა მარშალ მაქლუჰამმა (Marshall McLuhan) შემოიტანა 'გლობალური სოფლის' ცნება (McLuhan, 1962). ამ ცნებას უნდა მოეცვა ახალი კულტურული სიტუაცია მსოფლიოში, რომელიც თანამედროვე მასმედიის (განსაკუთრებით, ტელევიზიის) გავრცელების შედეგად ჩამოყალიბდა. მაქლუჰამი ამტკიცებდა, რომ მსოფლიო ერთ ადგილად იქცა, და ამ ადგილს ის გლობალურ სოფელს უწოდებდა. სხვათა შორის, იგი მას არა ჰარმონიულად, არამედ ისეთ ადგილად მიიჩნევდა, რომელიც აზრთა სხვადასხვაობით, კონფლიქტებითა და უსაფრთხოების არარსებობით ხასიათდებოდა (როგორც ანთროპოლოგი დაამატებდა – ბევრი რეალური სოფელი).

გლობალიზაციის ანთროპოლოგიური კვლევის არსებითი საკითხი, ერთი მხრივ, გლობალურსა და, მეორე მხრივ, სოფელს, ანუ ლოკალიზებულ გარემოს შორის ურთიერთმიმართების გათვალისწინების აუცილებლობაში მდგომარეობს. ამიტომ ანთროპოლოგისთვის მაქლუჰანის ტერმინი გულისხმობს ორი დონის შეუსაბამო ნარევს – ესაა ურთიერთქმედების დონე და ანონიმური დონე: მიკრო და მაკრო.

გლობალიზაციის ცენტრალური პარადოქსი შესაძლოა ისაა, რომ მან მსოფლიო ერთდროულად გაადიდა და დააპატარავა კიდეც. მსოფლიო დაპატარავდა იმ თვალსაზრისით, რომ 24 საათის განმავლობაში შესაძლებელია მოგზაურობა ნებისმიერ ადგილზე. პრაქტიკულად შესაძლებელი გახდა ცხოვრების დაახლოებით ერთი და იგივე წესით ცხოვრება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. მეორე მხრივ, მსოფლიო გადიდდა იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ უფრო მეტი ვიცით შორეული და 'ეგზოტიკური' ადგილების შესახებ და, შესაბამისად, უფრო მარტივად ვაღიარებთ ჩვენს განსხვავებებს. ერთხელ ჯონათან ფრიდმანმა (Jonathan Friedman) ზემოხსენებული შემდეგნაირად გამოთქვა: 'ეთნიკური და კულტურუ-

ლი დანაწევრება და მოდერნისტული ჰომოგენიზაცია – ეს არ არის ორი არგუმენტი, ორი საპირისპირო შეხედულება მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით; ეს არის გლობალური სინამდვილის ორი შემადგენელი ტენდენცია' (1990, გვ. 311). სხვა სიტყვებით, არსებობს უფრო დიდ სისტემაში ინტეგრაციის ტენდენცია, სადაც მსოფლიოს მოსახლეობის უმრავლესობა მონაწილეობს ურთიერთგაცვლის აბსოლუტურად ულიმიტო სისტემაში და, ამავდროულად, ადგილობრივ დონეზე, კულტურულ განუმეორებლობაზე აკეთებს აქცენტს. როგორც სალინსი ამტკიცებს, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლილ უნდა იქნეს 'თანამედროვეობის მკვიდრად ქცევა' ('the indigenization of modernity') (Sahlins, 1994), რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ მე-17 და მე-18 თავებში, ხშირად ილებს 'ტრადიციონალისტთა' მოძრაობების ფორმას, რომელიც უმეტესად წარმოდგენილია, როგორც ეთნიკური ან ნაციონალისტური მოძრაობა. კულტურის მოდერნისტულ, რეფლექსიურ კონცეფციასთან და მის გლობალურ გავრცელებასთან დაკავშირებით სალინსი წერს:

> *'კულტურა' – თავად სიტყვა ან მისი ნებისმიერი ლოკალური შესატყვისი – ყველას პირზე აკერია. ტიბეტისა და ჰავაის კუნძულების მკვიდრმა ოჯიბველებმა, კვაკიულტლებმა და ესკიმოსებმა, ყაზახებმა და მონღოლებმა, მკვიდრმა ავსტრალიელებმა, ბალიელებმა, კაშმირელებმა და ახალი ზელანდიის მაორებმა, ახლა აღმოაჩინეს, რომ მათ 'კულტურა' გააჩნიათ. საუკუნეების განმავლობაში ისინი იშვიათად თუ ამჩნევდნენ მას საერთოდ. მაგრამ დღეს, როგორც ახალი გვინეის მკვიდრმა ანთროპოლოგს უთხრა, 'ჩვენ რომ kastom (ანუ, ტრადიციული კულტურა – რ.ბ.) არ გვქონოდა, ზუსტად თეთრკანიანებივით ვიქნებოდითო. (1994, გვ. 378).*

უფრო სპეციფიკურ შენიშვნაში, ედვარდ ჰვიდინგმა (Edvard Hviding, 1994) აჩვენა, უკანასკნელ წლებში თუ როგორ ხაზგასმით აღნიშნავენ სოლომონის კუნძულების მკვიდრნი (რომელთა ნათესაური სისტემის ცნებებსა და პრაქტიკას ძლიერი კოგნატიკური მიდრეკილება აქვს) პატრილინეალურ წარმომავლობას, რომელიც უფრო ეფექტიანად ერგება კორპორაციების ფორმირებისა და მიწებზე პრეტენზიის გაცხადების პროცესს. საკითხი იმის შესახებ, თუ რა უნდა ეწოდოს ამ მოვლენას – 'თანამედროვეობის მკვიდრად ქცევა' თუ 'მკვიდრად ყოფნის გათანამედროვება' – ღიად რჩება, მაგრამ გასაგები ხდება, რომ ნათესაობის პრაქტიკისა და ცნებების ცვლა დაკავშირებულია სოციოკულტურულ ცვლილებასთან და კულტურის იდეის (როგორც პოლიტიკური რესურსის) გავრცელებასთან.

ლოკალიზაციის ორი სტრატეგია

პარიზი მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს 'აფრიკულ' ქალაქს წარმოადგენს; იგი ათასობით მუსიკოსს, სტუდენტს, შრომით მიგრანტსა და დევნილს იზიდავს აფრიკის ფრანგულენოვანი ნაწილებიდან. ბევრ პარიზელს დასავლეთაფრიკელი მშობლები ჰყავს, ბევრი მათგანის პირადი იდენტობა ნაწილობრივ დაკავშირებულია სენეგალთან, კამერუნთან თუ კოტ-დ'იუვართან; ბევრი დასავლეთაფრიკელი მოგზაურობს ფრანგული ქალაქიდან მშობლიურ ქვეყანაში და პირიქით.

ფრიდმანმა (Friedman, 1990; ასევე იხ., Gandoulou, 1989) პარიზის შრომითი მიგრანტების გარკვეული კატეგორია აღნერა. ისინი წარმოშობით ბრაზავილიდან (კონგო) არიან, სადაც ცნობილნი არიან, როგორც *'les sapeurs'* (სიტყვასიტყვით 'დამნაღმველი'). მათ უმეტესობას მდაბიო წარმოშობა აქვს, მაგრამ ისინი ახერხებენ პარიზში მოგზაურობას, სადაც გულმოდგინედ მუშაობენ და რაც შეიძლება ცოტას ჭამენ, იმისთვის, რომ ძვირადღირებული მოდური ტანსაცმელი შეიძინონ და მოგვიანებით ბრაზავილის ქუჩებში მათი საჯარო დემონსტრირება მოახდინონ. ამ ტიპის მოხმარების სტრატეგია ზუსტად იმ ზოგად კატეგორიაში ექცევა, რომელიც უკვე აღვწერეთ, როგორც საჩვენებელი მოხმარების კატეგორია: იგი გამოხატავს რანგს და პრესტიჟს. *'les sapeurs'*-თან დაკავშირებით, საინტერესოა არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ ისინი გაცილებით უფრო ღარიბები არიან, ვიდრე თავი მოაქვთ, არამედ ისიც, რომ მათი უმეტესობა იმ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელსაც უკვე აღარ აქვს ძალაუფლება. შესაბამისად, ფრიდმანი განმარტავს მათ საჩვენებელ მოხმარებას, როგორც ლოკალურ პოლიტიკურ სტრატეგიას: როგორც ძალაუფლებისათვის ბრძოლის გზას საკუთარი უპირატესობისა და ნარმატების ზედმეტად გამოვლენის მეშვეობით. შესაბამისად, *'La sape'* არის ადგილობრივი კულტურის საწინააღმდეგო სტრატეგია, რომელიც ეყრდნობა პრესტიჟისა და ძალაუფლების ადგილობრივ შეფასებებს, ის კი, თავის მხრივ, ეფუძნება იმას, რაც გლობალურად პრესტიჟულია – ანუ ძვირადღირებულ ტანისამოსს. ამ ფენომენის გაგება შეუძლებელი იქნებოდა ლოკალურ და არალოკალურ დონეებზე სრული კონტექსტის ცოდნის გარეშე.

კატარინა სიობერგს (Katarina Sjöberg's, 1993) თავის კვლევაში აინუს ხალხის (the Ainu, უმცირესობა იაპონიაში) შესახებ განსხვავებული მაგალითი მოჰყავს. ოფიციალურად, აინუებს არ აქვთ ეთნიკური უმცირესობის სტატუსი, ვინაიდან იაპონიის მთავრობა არ აღიარებს უმცირესობათა არსებობას. ამის სანაცვლოდ მსგავსი ჯგუფები გაერთიანებულია 'განუვითარებელი ჯგუფის' ('underdeveloped group') კატეგორიაში. ნებისმიერ ქვეყანაში მკვიდრი მოსახლეობის მსგავსად, აინუს ტომების წარმომადგენლებიც სისტემატური დისკრიმინაციის 'მსხვერპლნი' არიან (ისინი ევროპელებს ჰგვანან და ისტორიულად, ფერმკრთალ, ბენვიან, არამიმზიდველ ხალხად ითვლებიან); მათ საუკუნეების წინ დაკარგეს თავიანთი მიწის ფლობის ტრადიციული უფლებები; მთავარ პრობლემას ალკოჰოლიზმის მაღალი დონე და უმუშევრობა ნარმოადგენს. 1970-იან წლებამდე ფიქრობდნენ, რომ აინუების იდენტობა სრულად უნდა გამქრალიყო. მათი ენა თითქმის გაქრა და თავად აინუ, ეთნიკური ჯგუფის ნაცვლად, იაპონიის უმდაბლეს კლასად უნდა ქცეულიყო. მოგვიანებით ეთნიკური გამოცოცხლების მომენტი დადგა, როგორც ეს სხვა მკვიდრი მოსახლეობის შემთხვევაში მოხდა. 1970-იან და 1980-იან წლებში ეთნიკური გამოცოცხლების აქტიური მოძრაობა დაიწყო, რომლის მიზანიც იყო იაპონიის სახელმწიფოს იძულება, რათა მას აინუები ეღიარებინა ეთნიკურ ჯგუფად საკუთარი წეს-ჩვეულებებითა და ენის უფლებებით. თუმცა ეს სტრატეგია ძირითადად აინუს კულტურის, როგორც საქონლის, წარმოდგენას ითვალისწინებდა. ძველი რიტუალები, ტრადიციული ტანისამოსი, ხელნაკეთი ნივთები და კულინარიული მახასიათებლები გამოაცოცხლეს და წარმოადგინეს კომერციალიზებული, 'ტურისტულად მიმზიდველი' ხერხით. ასეთნაირად, იაპონელ ტურისტებს, რომლებიც აინუს ჩრდილოეთით მოგზაურობდნენ, შეეძლოთ იმის აღმოჩენა, რომ აინუს თავისი 'კულტურა' გააჩნდა, რომელიც პატივისცემას იმსა-

ხურებდა, მაგრამ ამ 'კულტურის' ენა (თუ შეიძლება ასე ვთქვათ) ჯერ საქონლის გადაცვლის გლობალურ ენაზე უნდა გადათარგმნილიყო. 2008 წელს იაპონიის საახელმწიფომ საბოლოოდ აინუ აღიარა ეთნიკურ უმცირესობად.

სიობერგის კვლევასა და საკუთარ ნაშრომზე საუბრისას, ფრიდმანი (1990) აღნიშნავს, რომ '*les sapeurs*', ისევე როგორც აინუს სტრატეგიები, შეიძლება კულტურული სუიციდის რეცეპტს ჰგავდეს, ვინაიდან ისინი იმ კულტურულ საფუძველს ეყრდნობა, რომლებიც არ არის ადგილობრივი. კონგოელები პრესტიჟსა და ინდივიდუალობას უცხოური სიმბოლოების მითვისების გზით გამოხატავენ; აინუები თავიანთ ეთნიკურ იდენტობას გამოხატავენ (და ქმნიან) მისი პროდუქტად ქცევის გზით; ისინი ეთნიკურ იდენტობას კომერციულ ბაზარს არგებენ. ამ საკითხთან დაკავშირებით ანთროპოლოგიური მომენტი ის კი არაა, სინამდვილეში არის თუ არა გამოხატული 'კულტურა' ლოკალური, 'ავთენტური', არამედ ის, თუ რამდენად ეფექტურნი არიან ისინი აღნიშნულ ჯგუფებს შორის იდენტობის გამოცდილებისა და პოლიტიკური ინტერესების ხელშეწყობაში.

სამყარო ნაკერების გარეშე: ჰომოგენიზაცია და დიფერენციაცია

როგორც უკანასკნელი თავებიდან ჩანს, კულტურული იდენტობა და 'უნიკალურობა' 1960-იანი წლებიდან მსოფლიოს ბევრ ნაწილში მოთხოვნად პოლიტიკურ რესურსად იქცა. სულ უფრო მეტმა ჯგუფმა 'აღმოაჩინა' თავისი კულტურული უნიკალურობა და მას პოლიტიკური მიზნებით იყენებს. რატომ ხდება ასე?

ამის მარტივად ახსნა იმით შეიძლება, რომ სოციალური იდენტობები მნიშვნელოვანი მხოლოდ იმ მომენტში ხდება, როდესაც მათ საფრთხე ემუქრება, როცა კულტურის გლობალიზაციის ტენდენციებს, რომლებიც კულტურულ ნიშან-თვისებებს ძირფესვიანად ანადგურებს, მეტ-ნაკლებად ავტომატურად მოჰყავს მოქმედებაში საპირისპირო რეაქციები – ეთნიკური ან ტრადიციონალისტური მოძრაობების სახით.

სავარაუდოდ, უფრო ზუსტი ახსნა, რომელიც ასევე შეესაბამება წინა ორ თავში წარმოდგენილ ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის საკითხებს, იმაში მდგომარეობს, რომ სოციალური იდენტობების საზღვრების გამიჯვნა (1) ბევრის აზრით, აუცილებლობად მიიჩნევა ჯგუფებს შორის გააქტიურებული ურთიერთობების გამო და (2) პრაქტიკულად შესაძლებელი ხდება მოდერნიზაციით გამოწვეული ტექნოლოგიური და კულტურული ცვლილებების გამო.

რაც შეეხება გლობალიზაციის კულტურულ შედეგებს, საკუთარი მოსაზრებიდან გამომდინარე, შეიძლება როგორც ჰომოგენიზაციის, ასევე დიფერენციაციის შემთხვევების განხილვა. სინამდვილეში, როგორც აინუებისა და კონგოელი '*sapeurs*' მაგალითები გვაჩვენებს, ხალხს ერთდროულად ორივეს ხელშეწყობა შეუძლია იმ თვალსაზრისით, რომ ლოკალიზების სტრატეგიები 'გლობალური' ტერმინებით იმოსება – საქონლის გაცვლისა და ინდივიდუალური უფლებების ენაზე.

ამასთან დაკავშირებით ერთი მნიშვნელოვანი მომენტი (რომელიც აქ უნდა აღინიშნოს) ისაა, რომ კულტურისა და იდენტობის ურთიერთდამოკიდებულება სუბიექტური და ინტერსუბიექტურია და არა ობიექტური. სოციალური იდენტობა, იქნება ის ეთნიკური, ნაციონალური თუ ნებისმიერი სხვა, განსხვავებული

გზით შეიძლება შეიქმნას. მაგალითად, ანთროპოლოგებს საზიარო იდენტობა აქვთ, მიუხედავად მათი ადგილმდებარეობისა; ისინი ქმნიან თავისებურ თემს, მასში თავისუფალი გაწევრიანებით. ისევე, როგორც ეთნიკურობის შემთხვევაში, სოციალური იდენტობის ორმაგი კრიტერიუმი სოციალურად დასაბუთებულია მაშინ, როცა ის 'თვითმიწერილია და მიწერილია სხვების მიერ' (იხ. თავი 17).

კიდევ ერთი მნიშნელოვანი საკითხი ძალაუფლებას ეხება. ღარიბ ქვეყნებსა და რაიონებში ეკონომიკური დამოკიდებულება ფართოდ იქნა შესწავლილი დაბალ ანაზღაურებაზე, უთანასწორო გაცვლასა და უთანასწორო საწარმოო ურთიერთობაზე ფოკუსირებით. კიდევ უფრო სერიოზული ფოკუსირება და კრიტიკული შეხედულება კულტურული დამოკიდებულების ცნებაზე (ეკონომიკური დამოკიდებულების ანალიზთან ერთად) უდავოდ დიდ წვლილს შეიტანს კულტურის გლობალიზაციის კვლევის საქმეში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადამიანები ირჩევენ თავიანთ სტრატეგიებს, ისინი ამას საკუთარი არჩევანის გარემოებების გავლენით არ აკეთებენ. ეს გარემოებები ძალიან განსხვავდება, არა მხოლოდ, მაგალითად, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის წვდომასთან, არამედ, ასევე პირად ავტონომიასთან და საკუთარი თავის განსაზღვრის უფლებასთან მიმართებით.

* * *

ინტერვიუს დროს ლევი-სტროსმა (Lévi-Strauss) შემდეგი ამბავი გაიხსენა. იგი ვიზიტით იმყოფებოდა სამხრეთ კორეაში და მასპინძლებმა იგი ამ ფართოდ რეკლამირებული ახალი ინდუსტრიული ქვეყნის დიდი მიღწევების დასათვალიერებლად წაიყვანეს. სპორტული მოედნები, ჩქაროსნული ავტოსტრადები, ცათამბჯენები და ქარხნები დაათვალიერებინეს. ლევი-სტროსი დიდად არ ინტერესდებოდა ამ სანახაოებებით და უმეტესად მუზეუმებში დადიოდა, სადაც მას ძველი ნიღბების შესწავლა შეეძლო. 'პროფესორო ლევი-სტროსს!' – ერთხელაც წამოიძახა მასპინძელმა, – 'თქვენ მხოლოდ ის ნივთები გაინტერესებთ, რომლებიც უკვე აღარ არსებობს!' 'დიახ', – პირქუშად უპასუხა მან, - 'მე მხოლოდ ის ნივთები მაინტერესებს, რომლებიც უკვე აღარ არსებობს'.

ლევი-სტროსისთვის ყურადღების მისაპყრობად თანამედროვეობის კულტურული ნაირსახეობები არ იყო საკმარისი. მისთვის სეული მეტ-ნაკლებად პარიზის მსგავსი ქალაქი იყო. სხვა ანთროპოლოგებისთვის, რომლებიც თანამედროვების ცვლილებათა კვლევით იყვნენ გატაცებულნი, სეული ნამდვილად არ ჰგავდა პარიზს.

ამ თვალსაზრისით რომ განვიხილოთ, თვალსაჩინოა, რომ მსოფლიოს კულტურული ნაირსახეობა რადიკალურად შევიწროებულია. დღეისათვის სულ უფრო ნაკლები ანთროპოლოგი ნახავს იმ რადიკალურ განსხვავებებს, რომლებიც ლევი-სტროსს აქვს აღწერილი თავის ნიგნში *Tristes tropiques* ('სევდიანი ტროპიკები', 1976 [1955]). ამ ლამაზ, მელანქოლიურ წიგნში იგი აღწერს ექსპედიციას ამაზონიაში, სადაც ადგილობრივებს შეხვდა; ისინი იმდენად ახლოს იყვნენ მასთან, რომ შეხებაც კი შეიძლებოდა, მაგრამ მაინც თითქოს უსასრულოდ შორს იყვნენ: მას არ შეეძლო მათი გაგება.

2009 წელს, სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, ლევი-სტროსმა თავისი მეასე დაბადების დღე აღნიშნა. მას პრეზიდენტმა სარკოზიმაც სათანადოდ მიულოცა

– საფრანგეთი ხომ ის ქვეყანაა, სადაც პოლიტიკოსებს ჯერ კიდევ პრესტიჟად მიაჩნიათ ინტელექტუალებთან ურთიერთობა. ლევი-სტროსმა პრეზიდენტს უთხრა, რომ მისი შეხედულებით, თანამედროვე მსოფლიო ძალიან სავსე იყო – *Le monde est trop plein*. სავარაუდოდ, მან ის იგულისხმა, რომ მსოფლიო გადავსებულია ადამიანებით და მათი საქმიანობების შედეგებით. 1908 წელს, როცა ის დაიბადა, პლანეტის მოსახლეობა 1.7 მილიარდ ადამიანს შეადგენდა; 2015 წელს კი მსოფლიო მოსახლეობა 7.3 მილიარდით გაიზარდა, ამასთან, მათი Facebook გვერდებისა და მობილური ტელეფონების პროცენტული მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება. თანამედროვე სამყაროში არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა საზომებით გაზომავ კავშირის დონეებს, შედეგი ერთია: დღეისათვის გაცილებით მეტი ადამიანია ერთმანეთთან კავშირში, ვიდრე ოდესმე. ჩვენ ბევრნი ვართ და თითოეულ ჩვენგანს, საშუალოდ, გაცილებით მეტი კონტაქტი აქვს გარე სამყაროსთან, ვიდრე ჩვენს წინაპრებს – საქმიანი მოგზაურობა, ინფორმაცია, კომუნიკაცია, მიგრაცია, შვებულებები, პოლიტიკური მონაწილეობა, ვაჭრობა, განვითარების ხელშეწყობა, გაცვლითი პროგრამები და სხვა.

გარკვეული შეხედულების თანახმად, მსოფლიოში იმედგაცრუება პროგრესირებს, თუ გამოვიყენებთ მაქს ვებერის (Max Weber) გამოთქმას თანამედროვეობასთან დაკავშირებით (*Entzauberung*), ის თითქოს სულ უფრო ნაკლებ საიდუმლოებებს ინახავს. რუკიდან გაქრა თეთრი ლაქები და სავარაუდოდ, უკვე აღარ დარჩა ადამიანი, რომელსაც მეტ-ნაკლებად, არ აქვს კონტაქტი სამყაროსთან. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში უკვე აღარ დარჩა მატრილინეალური ხალხები. დანაკლისის განცდა აქვთ არა მხოლოდ ანთროპოლოგებს, არამედ, ასევე, ბევრ სხვა ადამიანსაც მსოფლიოში. და მაინც, სწორედ ის, რაც მოცემული თავის ინტერესს წარმოადგენდა – ახალი კულტურული ფორმები და სოციალური პროექტები – უწყვეტად იქმნება ლოკალურ პირობებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ცვლილების პროცესი მოულოდნელი, ხშირად, გასაოცარი გზებით მიმდინარეობს. სხვა სიტყვებით, ყოველთვის იარსებებს განსხვავებული მსოფლმხედველობა, ცხოვრების წესები, ურთიერთმიმართება ძალაუფლებასთან და ცხოვრებისეული პროექტები, რომლებიც აუცილებლად შეუქმნიან უამრავ სირთულეებს იმათ, ვისაც განზრახული აქვს საზოგადოებებში ადამიანებს შორის მსგავსება-განსხვავებათა გაგება. უფრო სწორად კი, სწორედ სამყაროს გადავსებულობამ, რასაც სინანულით განიცდიდა ლევი-სტროსი, შეიძლება გაამართლოს ადამიანთა მრავალფეროვნების სფეროში ანთროპოლოგიური კვლევის კიდევ ერთი საუკუნე.

დამატებით საკითხავი ლიტერატურა:

Arjun Appadurai: The Future as a Cultural Fact: Essays on the Global Condition. London: Verso 2013.

John L. Comaroff and Jean Comaroff: Ethnicity, Inc. Chicago: University of Chicago Press 2009.

Ulf Hannerz: Anthropology's World: Life in a Twenty-first-century Discipline. London: Pluto 2010.